# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 2010 წელი.

№194 (6560)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru



ვებ გვერდი: www.open.ge


ფასი 50 თეთრი.



## როგორ გახდა მწერალი ამირეჯიბი ჭაბუა ბერი თუთაშხია დათა ④

## აუჰ, რა გულუბრყვილო ყოფილა ეს კორესპონდენტი ქსიუშა?! ③





## წინ – ტრამვაი-ტროლეიბუსებისკენ ველოსიპედის ჩათვლით ②

## „ჩემს წინაშეა კავკასიონი“ ⑦





### უვიზოდ ჩრდილოეთ კავკასიიდან – დესტაბილიზაციის ახალი ტალღა!

## ⑤ მიშას ახალი კავკასიური ცარცის წრე...



## მეხავანა კატები მოგვიმრავლდნენ ②

## ⑥ „გამარგლული“ ქვეყანა,

ანუ ხელისუფლებას კორუფცია უგზოუკვლოდ დაეკარგა...

## ③ დემაგოგიის ღვარი,

ანუ სამეცნიერო მდგომარეობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დასრულდა ცნობილი ბრაზილიელი მწერლის პაულო კოელიოს ერთ-ერთი ბოლოდროინდელი რომანის – „ბრიდას“ თარგმანი, რომელიც, იმედია, გულგრილს არ დატოვებს ჭეშმარიტ ქართველ მკითხველს და არა, როგორც პოეტი იტყოდა, უბრალოდ გადამკითხველს.



◎ ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

# მასობრივ-სავალდებულო დეფლორაციას ბატონი პრეზიდენტი უხელმძღვანელებს,

## ანუ წინ — ტრამვაი-ტროლეიბუსებისკენ ველოსიპედის ჩათვლით

ამას წინათ ხელისუფლებამ (გიგი უგულავამ) უჩვეულო სიახლე გვამცნო, რადგანაც სამარშრუტო ავტობუსები თბილისში ძვირიც ჯდება და ჰაერსაც საშინლად აბინძურებს, შეიძლება ელექტროტრანსპორტი მივაშველოთო.

კეთილი და პატიოსანი. ამ აზრს შეიძლება მხოლოდ მიესალმო, ოღონდ...

ნათქვამია, ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო.

თბილისში ამ ელექტროტრანსპორტიდან ერთ დროს ტრამვაიც გვქონდა, ტროლეიბუსიც და კიდული ბაგირგზაც. მერე მიდგა ხელისუფლება და რევოლუციის ტალღაზე, სანამ პირწმინდად არ ამოძირკვა ერთიც და მეორეც, არ მოისვენა. იმდენად ჩქარობდა, ტრამვაის ლიანდაგზე ალაგ-ალაგ ასფალტიც კი გადააგო. გვახსოვს რა ხარბად ჭრიდნენ ტროლეიბუსის სპილენძის სადენებს. ეჰ, ახლა რომ ერთი შერლოკ ჰოლმსი მოგვცა და დაგვაანგარიშებინა, რა ფული მოტყდა და ის ფული ვის ჯიბეში წავიდა, ნამდვილად საუკუნის ამოცანას ამოვხსნიდით.

არადა თბილისი ძალიან იყო შეჩვეული ელექტროტრანსპორტს, ამაყობდა კიდეც თავისი ამ დედაქალაქური გამონაკლისობით.

130 წლის წინათ (1883 წ.) თბილისის ქუჩებში პირველად გამოჩნდა ტრამვაის წინამორბედი — „კონკა“ (ცხენის სალიანდაგო გზა), მაგრამ იგი უკვე 1904 წელს შეცვალა ვიწროლიანდაგიანმა ტრამვაიმ. ოღონდ „კონკა“, სტილიზებული სახით მაინც დგას ბარათაშვილის ქუჩაზე, რესტორან „მუხრანთუბნის“ წინ. ღვინის აღმართის თავში, დარეჯან დედოფლის სასახლის („საჩინოს“) გვერდით კი დღემდეა შემორჩენილი „კონკის“ ცხენების თავლა, ოღონდ ახლა ამ თავლებში პატივსაცემი თბილისელი მოქალაქენი ცხოვრობენ, ბინათმფლობელთა უფლებით.

ტრამვაიმ მალე დაიპყრო თბილისი. ვინც იცის, რამდენი ჭაბუკის მოჭრილი ფეხი შეეწირა ტრამვაიდან „მარიაჟულ“ ახტომა-ჩამოხტომას... 1985 წლის მონაცემებით ტრამვაი თბილისში მოძრაობდა 9 მარშრუტით, რომელთა საერთო სიგრძე 106,4 კილომეტრი იყო. იგი ტრანსპორტთა შორის ყველაზე იაფი გახლდათ: მგზავრობა 3 კაპიკი ღირდა.

1908 წელს დაიწყო კერძო მსუბუქი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია, 1934 წელს — ავტობუსების მოძრაობა, ხოლო 1937 წელს მწყობრში ჩადგა ტროლეიბუსის პირველი ხაზი (სტადიონი „დინამო“ — მარქსის მოედანი). სხვათა შორის, ტროლეიბუსი მოსკოვში თბილისზე მხოლოდ 3 წლით ადრე შევიდა. მისი მომრავლება ასფალტის საფარიანი გზების გავრცელების კვალდაკვალ ხდებოდა. იმავე 1985 წლის მონაცემებით, თბილისში ტროლეიბუსი მოძრაობდა 14 მარშრუტით, საერთო სიგრძით 89,5 კმ. თბილისის გარდა ტროლეიბუსი ჰქონდა საქართველოს 11 ქალაქს: ქუთაისს, რუსთავს, ბათუმს, სოხუმს, ცხინვალს, სამტრედიას, ფოთს, საჩხერეს, ჭიათურას, გორს, ოზურგეთს). 1958 წელს ამოქმედდა პირველი სამგზავრო კიდული ბაგირგზა — რუსთაველი — მთაწმინდა, 1966 წლის 11 იანვარს კი ელექტროტრანსპორტის დედოფალი — მეტროპოლიტენი.

მერე კი მოვიდა 1990-2000-იანი წლები და თბილისში მხრჩოლავი ავტობუსებისა და მეტროპოლიტენის გარდა ყველაფერი მოისპო და გავერანდა. თბილისი გაივსო კვამლით, ჭვარტლითა და ხმაურით.

და აი ქალაქის მამები ჭკუას მოეგნენ და დაკარგულის აღორძინება გადაწყვიტეს.

ეს იოლი საქმე არ იქნება — საჭიროა ლიანდაგები, სპილენძის სადენები, ვაგონები, სპეციალისტები, რომლებიც სიდუხჭირემ ქუჩაში გამოყარა ქორვაჭრებად და დღიურ მუშებად. გაყიდული და ბაზრობა-მარკეტებად არის დანაწილებული ყოფილი ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მდიდარი პარკი — ფარეხები, სახელოსნოები. ყველაფერის ხელახლა შეძენა-აღდგენა ბევრად მეტი თანხა დაჯდება, ვიდრე მისი გაყიდვა-განიავებით მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტმა.

და მაინც წინადადება მისაღებია, თორემ ეს ოხერი ავტობუსები ჭვარტლით გაგვივსებენ ფილტვებს და თბილისელებს რიგრიგობით სუნთქვაზე გადასვლა მოგვიწევს.

თბილისს დიახაც სჭირდება ტროლეიბუსი, რომელსაც ხელშესახები უპირატესობა აქვს ავტობუსთან შედარებით: იყენებს დიზელზე იაფ ელექტროენერგიას, არა აქვს გამონაბოლქვი აირები, საიმედოა, მისი ექსპლუატაცია მარტივია.

თბილისს დიაღაც სჭირდება ტრამვაი. ლიანდაგის სრულყოფის შემთხვევაში შეიძლება ჩქაროსნული ტრამვაის განვითარება, რომლის სიჩქარეც 1,5-2-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივის. ჩქაროსნული ტრამვაი მოითხოვს ნაკლებ კაპიტალდაბანდებას, ვიდრე მეტროპოლიტენი, ამასთან შესაძლებელია მგზავრთა ნაკადის უფრო რაციონალურად განაწილება.

თბილისს აუცილებლად სჭირდება რუსთაველი-მთაწმინდის საბაგირო გზა. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს მისი აღდგენა, სასტუმრო „აჭარისა“ არ იყოს — მას შემდეგ, რაც კონსტიტუციის მოედანს ზოლიანი ღობე შემოავლეს, სულაც ახალი ბითუმი აშენდა, „აჭარის“ რეკონსტრუქციის დასრულებას კი საშველი არ ადგება.

ცოტა ხნის წინათ აითვალწუნეს და ცხრილიდან ამოყარეს ფიზკულტურის გაკვეთილები. ახლა ჭკუაზე მოვიდნენ და ისევ აღადგინეს. „სპორტი მაგარიაო“, დღეს დიდი ამბით რომ გვიცხადებენ, ამაში გუშინ ვინმეს გვეპარებოდა ეჭვი?

40-წლიანებს აუხირდნენ და მასობრივად გაყარეს სამსახურიდან, 40 წლისა ხეც არ მინდა ეზოშიო, უდღეურ მინისტრ რეხვიაშვილის პირით რომ გამოაცხადეს ნაციონალებმა, ახლა თვითონ გახდნენ 40 წლისანი და ცოტა ჩაშუშდნენ, მაინც და მაინც აღარ ერჩიან ოთხ ათეულს გადაბიჯებულ ცოდნით დაყურსულ, ფიზიკურად ძლიერ ქალებს და კაცებს.

ახლა „ქალწულობის ინსტიტუტი“ ამოიღეს მიზანში. არის სატელევიზიო დებატები და ჰაი-ჰუი, ამ სატირალ ლაშქრობას სათავეში უდგანან კარგად „ცნობადი“ ქალბატონები, რომლებსაც აღარც ახსოვთ როდის გამოეთხოვენ ამ ყბადაღებულ ქალწულობას, ან საერთოდ ოდესმე თუ იყვნენ ქალწულები.

საქმე ისე მიდის, შეიძლება სავალდებულო-საყოველთაო დეფლორაციაც კი მოეწყოს ხოლმე ბოლო ზარის ღონისძიებად თავისუფლების მოედანზე, სპეციალურად ჩამოყვანილი რომელიმე კუტუნიოს აკომპანემენტით, ამ ღირსშესანიშნავ პროცესს, რა თქმა უნდა, მისი აღმატებულება, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახსნის ზარ-ზეიმით, და სრულიად მოსალოდნელია, თვითონაც ხალისით მიიღოს მონაწილეობა თვით პროცესში.

მაგრამ მჯერა, გამოხდება ხანი და დაწუნებული ქალწულობის ინსტიტუტის აღდგენა გახდება საჭირო. მაგრამ აგული ერისთავისა არ იყოს, ქვა თიხა არ არის, დაარტყამ, გატყდება და ვეღარ გაამთელებ. დასავლეთის მაგალითით ახუნტრუცებული გოგონების მასობრივი გაკერვა გახდება საჭირო. მაგრამ ექიმ ივა კუზანოვის ენთუზიაზმის იმედად ფონს ვერ გავალთ. სამედიცინო უნივერსიტეტში ახალი სპეციალობის შემოღება მოგვიხდება — დეფლორირებულთა გამკერების და „ზმეიკის“ დამკერებლების.

ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველია!..

ალეკო ასლანიშვილი



◎ გუშინდელი ფოსტიდან

# მჩხავანა კატები მოგვიმრავლდნენ

თქვენი გაზეთის შაბათის ნომერში ნამდვილად დროულად და სამართლიანად იყო მხილებული არასამთავრობო ორგანიზაცია — „ქართველი ემიგრანტების“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ვინმე ზვიად ყუშიტაშვილი, რომელიც ჟურნალისტ ჯაბა ჟვანიასთან ინტერვიუში (გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზეძ 26 სექტემბერს აცხადებდა, ჩვენ მოვითხოვთ ემიგრანტების უფლებების დაცვასო, თუმცა ეს არ არის ჩვენი მთავარი მოთხოვნაო, ჩვენი უპირველესი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა და თოთხმეტში სწორედ იმისთვის ვიკრიბებით პრეზიდენტის რეზიდენციასთანო, რომ სააკაშვილს წავუყენოთ ულტიმატუმი — გადადგეს და, საერთოდ, დატოვოს ქვეყანაო. თუ არადა, ავიღებთ რეზიდენციას, საკრებულოს, პარლამენტს და ყველა მსგავს მნიშვნელობის ობიექტსო.

თქვენი ავტორის ღვთისო უძილაურივით მეც მოუთმენლად ველოდი 14 ოქტომბრის გათენებას და, ის კი არა, წინ-წინ მივედი კიდეც პრეზიდენტის რეზიდენციასთან, სადაც რამდენიმე ჩემისთანა ადამიანიც დამხვდა. მაგრამ მთელი დღე ტყუილად ველოდეთ ზვიად ყუშიტაშვილის „ლაშქრის“ გამოჩენას...

ისე, როგორც ჩანს, ყუშიტაშვილი მარტო არ არის თავის ულტიმატუმებში და პრეზიდენტის ვირტუალურ გადაყენებაში. თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია უკვე წლების განმავლობაში აშინებს სააკაშვილს, მიშა, მოვდივართო. ბოლოს იმის ძახილიც კი დაიწყეს, უკვე მოვედითო... მაგრამ რეალურად „მოსული“ ჯერ ვერავინ ვიხილეთ. ამასობაში კი სააკაშვილს უშიშროების იმუნიტეტი გამოუმუშავეს. წინათ ცოტა ფერფური მაინც გადაუვლიდა ხოლმე სახეზე, ახლა იმდენს მიაღწია, ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთში აჩხუბებს და თვითონ იმდენად უშიშრად არის, 14 ოქტომბერს, როცა რეზიდენციის აღებით ემუქრებოდნენ, მცხეთის გზაზე თავისი განუყრელი ტრიბუნა დადგა და სალობიეს მიესალმა, რითაც როგორც სწორად წერდა თქვენი ავტორი, ხაზი გაუსვა, საქართველოს გადამრჩენელი დიახაც ლობიოა და არა რომელიმე ოპოზიციური პარტიაო.

არადა, ეს ჩვენი ოპოზიციონერები, თანაც უმეტესობა, მართლაც იმ მჩხავანა კატებს დაემსგავსნენ, რომლებიც ჩხავილით ბევრს ჩხავიან, მაგრამ უკვე კარგა გვარიანად მომრავლებულ თაგვებს ვერ იჭერენ და, როგორც საქმეს ეტყობა, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ დაიჭერენ.



თაგვს ვამბობ, თორემ ასეთი თავიანთი ვითომ ბრძოლით 2013 წლამდე რა ჩიტსაც დაიჭერენ, უკვე ზედვე ეტყობათ.

ჩვენ კი, შელონებულ ხალხს, ისღა დაგვრჩენია, ვიდგეთ და ვუყუროთ ამ გაუთავებელ კატათაგვობანას სეირს...

ჭაბუკა მამალაშვილი,
ხაშური.

◎ ინფორმაცია

## საქართველოში სავაჭრო სახლს დააფუძნებენ

**მინსკი მზადაა საქართველოში სავაჭრო სახლი დააფუძნოს, სადაც ბელორუსში წარმოებული პროდუქცია გამოიფინება და დაინტერესებულ პირებს ბელორუსში დამზადებულ პროდუქციაზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდება.**

აჭარის დელეგაციის ბელორუსში ვიზიტისას, მხარეებს შორის მიღწეულა წინასწარი შეთანხმება ამ მიმართულებით შესაბამისი ინფორმაციის გაცვლისა და შემდგომში ბელარუსის მხარის სამუშაო ჯგუფის ბათუმში ვიზიტის თაობაზე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ასევე ბელარუსიდან სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, მარცვლეულისა და კარტოფილის სათესლე ჯიშების შერჩევისა და აჭარაში მიწოდების საკითხები, აგრეთვე, საქართველოში სასათბურე მეურნეობის ორგანიზების საკითხში ბელარუსის გამოცდილების გაზიარებისა და მონაწილეობის შესაძლო ფორმების განსაზღვრის შესაძლებლობა.

ბელორუსი ინვესტორები აჭარაში სასტუმროს მშენებლობას გეგმავენ. აჭარის დელეგაციის ბელორუსის ვაჭრობის მინისტრთან ვალენტინ ჩეკანოვთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ იქნა ბელარუსის მხარის მიერ საქართველოში, კერძოდ აჭარაში, სასტუმროს მშენებლობის საკითხი.

2010 წლის 11 აგვისტოს წერილში ბელორუსის სახელმწიფო ქონების კომიტეტმა აჭარის ხელმძღვანელობას სთხოვა ინფორმაცია საქართველოში მიწის ნაკვეთის შესყიდვის პირობების შესახებ, რათა აღნიშნული შემდგომ დაინტერესებული ინვესტორებისათვის გაეცნო.

ХО-ЭОВ-ЭБО

ამფერ, ჩემო დათუნაო!..

# აუჰ, რა გულუბრყვილო ყოფილა ეს კორესპონდენტი ქსიუშა?!

## თუმცა, გულუბრყვილოზე უფრო მეტად - დღევანდელი ქართული სინამდვილის და, კიდევ ამაზეც უფრო მეტად - ამჟამინდელი ნაცელიტის აზროვნების ერთობ ზედაპირულად მცოდნეც

***დილაადრიან** ძილ-ბურანს ძლივს თავდაღწეულმა ვერაფრით გავიხსენე, რატომ ამეკვიატა ალიონზე კრილოვის ერთი ცნობილი იგავ-არაკი, დიდმა აკაკიმ დიდებულად რომ გვითარგმნა.*

*და ის იყო, მეხსიერების ზედმეტი და ფუჭი დაძაბვით ერთობ გაღიზიანებულმა ლამის ხელი ჩავიქნიე, რომ უცებ გამახსენდა: თურმე ორი რუსი ქსიუშა ჟურნალისტისთვის სააკაშვილის მიერ მიცემული ინტერვიუს ერთი კითხვა-პასუხი ჩამრჩენოდა გონებაში, რომელიც დაწოლის წინ წავიკითხე, და ამადაც გამხსენებია აღნიშნული არაკი.*

*აი, ის ამონარიდი დიალოგიდან, რომელიც სააკაშვილსა და ქსენია სოკოლოვას შორის ბათუმში გამართულა.*

**„— ახლა კი გაჩვენებთ სახლს, რომლის ფასადი მე თვითონ დავხატე** (ამას სააკაშვილი ეუბნება ჟურნალისტებს.—**რ.რ.**).

განსაცვიფრებელ ნაგებობასთან მივედით.

**— უბრალოდ, დიზაინის ყველა საყვარელი ელემენტი შევკრიბე და ყველა ფანჯარა, ყველა აივანი სხვადასხვანაირი გავაკეთე.**

მართლაც ასე იყო. ჩუქურთმებიანი აივნები ბუთხუზა ანგელოზებთან მეზობლობდნენ, ფრანგული ფანჯრები—პატარა თაღებთან. აპოკალიფსურ დიზაინს არაბული ზღაპრიდან გადმოსული ოქროსფერი გუმბათი აგვირგვინებდა.

**— იცით, რომ ძალიან ცუდი გემოვნება გაქვთ?**—ჩემი მკაცრი ხმით იკითხა მსოფლიო ჰარმონიამ."

**ეჰ, ჩემო გულუბრყვილო ქსიუშა, საიდან ეცოდინება, როცა თავისი თავი ცუდი კი არა, უდახვეწილესგემოვნებიანი ჰგონია და ყველაფერი კარგი, მთელს ევროპაშიც რომ არ მომხდარა და გაკეთებულა ისეთი, მისი ღრმა რწმენით, მისივე თაოსნობით და პირველად მოხდა თუ გაკეთდა საქართველოში?**

რაო? თვითონ თუ ვერ ხვდება, ვინმემ უთხრას და გააგებინოსო?

ვინ?

აკი თავშივე ვთქვი, ზედაპირულად სცოდნიათ-მეთქი დღევანდელი საქართველოს სინამდვილე ქსიუშებს.

**იმ ხალხმა, ვისაც მასთან შესახვედრად საგანგებოდ არჩევენ ხოლმე რაიონებში** (ზოგჯერ პროფესიონალ მსახიობებსაც კი, როგორც ეს იყო გასულ კალანდაზე, თუნდაც ჩოხატაურში, რათა უკეთ შეასრულონ პრეზიდენტზე ყურებამდე შეყვარებული ადამიანების როლიძ?

**არა ისინი ამას არ ეტყვიან, ოპოზიციურად განწყობილებს კიდევ მასთან არავინ მიუშვებს, პოლიტიკური მრწამსით თუ იდეოლოგიით პრეზიდენტთან ახლოს მდგომი ნაცელიტის წარმომადგენლები კი, არამცთუ რამეს დაუწუნებენ შეფს, არამედ კრილოვის იმ ერთი იგავ-არაკის გმირი ეშმაკი მელაკუდასი არ იყოს, ძილში რომ ამეკვიატა, მუდამ ტაშს შემოკრავენ და ერთხმად შეუძახებენ ხოლმე „მამა მარჩენალს", — ამფერ, ჩვენო დათუნაო, როგორ გშვენის ეგ თამაში, მალაყები და ხტუნვაო!**

ანკი რატომ არ შემოსძახებენ, როცა იმედი აქვთ, იქნებ ესიამოვნოს და „ვახშმადაც აქ დავრჩებითო?"

**რჩებიან კიდეც. ბევრი მათგანი ამის წყალობით მეორე ვადითაც აირჩიეს დეპუტატად თუ რომელიმე დიდი თანამდებობის პირად, ბევრს ელჩობა გაუჩალიჩეს, ბევრს, ვთქვათ, ერთგულ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, ბათუმის ცენტრში იმდენად სიმბოლურ ფასად მიჰყიდეს საუცხოო ბინები, რომ ნაჩუქარზე მეტიც გამოდის და ა.შ.**

თქვენ კიდევ ეკითხებით, — ნუთუ არ იცით, რომ ცუდი გემოვნება გაქვთო!

**თუ სიმართლე გინდათ, ხალხს ჰქონია ცუდი გემოვნება, როცა საარჩევნო ურნებთან იდგა!**

**ამიტომაც დგას ახლა ბევრზე ბევრი უკვე ნაგვის ურნებთან!**

თუმცა ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, და ჩვენც სხვა თემაზე გადავიდეთ.

უფრო სწორად, ინტერვიუს იმ ნაწილზე, რომელშიც ქსიუშების თბილისში, პრეზიდენტის რეზიდენციაში ყოფნის დეტალებია აღწერილი.

ერთ-ერთი ქსიუშა სააკაშვილს ეკითხება:

**„— ეს რა არის? — თითით ვანიშნე ბნელ ღამეში მოკაშკაშე მინის კონსტრუქციაზე.**

**— ეს საქვეითო ხიდია. ევროპაში ყველაზე გრძელი.**

**— ამ ქართველებს ხომ ყველაფერი ყველაზე დიდი და გრძელი აქვთ, — წაიბურტყუნა სობჩაკმა".**

ვიდრე თქვენთვის უფრო სასიამოვნო დიდისა და გრძელის მისამართს დაგიკონკრეტებდეთ, ჩემო კარგო იმანოებო, ერთი რამ მინდა გკითხოთ: **ხიდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის დანარჩენი „ყველაზე დიდი და გრძელი", თურმე ქართველებს რომ გვქონია, თქვენეული ძველი გამოცდილებით იცით, თუ ამაში ახლახან ინტერვიუსთვის თბილისში ჩამოსულებიც კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დარწმუნდით?**

რაც შეეხება აღნიშნულ ხიდზე უფრო დიდი და გრძელი ნაგებობის მისამართის შეპირებულ დაკონკრეტებას, ამისთვის გარჯა არც დამჭირდებოდა, პრეზიდენტს თავისი რეზიდენციიდან დაჯავშნული „მერსედესით" პირდაპირ აეროპორტში რომ არ გაექანებინეთ და გმირთა მოედანზეც გაეტარებინეთ.

**აი, იქ ნახავდით სანახავს!**

**თან თქვენი აზრიც მინდა გავიგო.**

**რაზე? იმაზე, რომ როგორც ჩვენთან ავი ენის პატრონი ხალხი ამბობს, რაზეც ვკიდივართ, იმის ძეგლი დაგვიდგეს იმ მოედანზეო!**

**საინტერესოა, თქვენ რას დაარქმევდით?**

**რუსლან რუსია**



ბანი

ილაპარაკეთ ბანიდან ბანზე წუთში

2 თეთრად

100 ლარამდე ღირებულების ნომრები 10 ლარად!

თუ გსურთ ტარიფის შეცვლა, ბანიდან დარეკეთ ნომერზე 1010, მოუსმინეთ ავტომოპასუხეს და მიჰყევით ინსტრუქციას. ტარიფის შეცვლის საფასური 1 ლარი.

ინფორმაციისთვის დარეკეთ:
5151 - ბანიდან, 851 51 51 51 - ნებისმიერი სხვა ქსელიდან
www.bani.ge

SIC!

# დემაგოგიის ღვარი,

## ანუ სამეცნიერო მდგომარეობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გამოვიდა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" 20 სექტემბრის მე-10 ნომერი, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წლის დაწყებას მიეძღვნა. იმის გამო, რომ ინტერვიუს თანამდებობის პირები იძლევიან, მკითხველს აუცილებლად დარჩება შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტში ყველაფერი კარგადაა და მზადაა განათლებული კადრების მოსამზადებლად. არადა, ყველამ კარგად იცის, რომ ლომაია-ხუბუას მიერ ჩატარებული საუნივერსიტეტო რეფორმის შედეგად პირველ რიგში განადგურდა სამეცნიერო ლაბორატორიები, ხოლო სამეცნიერო შტატები საერთოდ გაუქმდა. ფაკულტეტების გაერთიანებამ, შესაბამისი სასწავლო პროცესის განხორციელებამ, ლომაია-ხუბუას ნათესაური კლანის შემოდინებამ და სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ასაკობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკამ გამოიწვია უნივერსიტეტიდან და ზოგადად განათლების სისტემიდან პროფესიონალური კადრების გადინება, დაეცა სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლების დონე. სახელმწიფო დღემდე ვერ ახერხებს უნივერსიტეტის ღირსეული რექტორისა და განათლების მინისტრის შერჩევას. წარმოუდგენელია, როცა განათლების მინისტრმა არ იცის სახელმწიფო ენა და ახალგაზრდებთან შელახული ქართულით საუბრობს.

მე, როგორც მეცნიერს, მსურს გამოვეპასუხო ზემოთ დასახელებულ გაზეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ღვედაშვილის ინტერვიუს, რადგან მის მიერ ლამაზად დახატული საუნივერსიტეტო მეცნიერების მდგომარეობის ამსახველი სურათის უკან მრავალი პრობლემა არსებობს, რომელზეც იგი არ საუბრობს! ეს საბოლოო ჯამში ხელს არ შეუწყობს მის გამოსწორებას (თუ, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამის სურვილი აქვსძ. ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ 43 წელი ვმუშაობდი აკად. ი. ვეკუას მიერ დაარსებულ უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და ამგვარად, საუნივერსიტეტო საქმიანობაში კარგად ჩახედული გახლავართ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო შტატების გაუქმებით და საგრანტო სისტემის შემოღებით სახელმწიფომ გაიადვილა საფინანსო მდგომარეობა. მიითვისა რა სამეცნიერო შტატებისათვის განკუთვნილი თანხები, სახელმწიფომ დააარსა სამეცნიერო ფონდი, რომელიც გრანტებს გასცემს კონკურსის შედეგების მიხედვით. საქმე ისაა, რომ თუკი ადრე სახელმწიფო უხდიდა ხელფასს მეცნიერს, ახლა პირიქით, კონკურსში გამარჯვებული უხდის უნივერსიტეტს მოპოვებული გრანტის 10 პროცენტს გამოყოფილი სამუშაო ოთახისათვის, დახარჯული დენისა და გათბობისათვის, რისი აღრიცხვაც, დამეთანხმებით, შეუძლებელია და, ამრიგად, რაში იხარჯება ეს თანხა, ფონდის მესვეურებს ნამდვილად უნდა აინტერესებდეთ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საგრანტო პირობების თანახმად, საკონკურსო განაცხადის შემტანს შეუძლია წამყვან ორგანიზაციას (ჩვენ შემთხვევაში სახელმწიფო უნივერსიტეტსძ გამოუყოს საერთო დაფინანსების 10 პროცენტამდე თანხა. მე კი კარგად მახსოვს, რომ უნივერსიტეტის მესვეურები ხელს არ აწერდნენ განაცხადს, თუ მასში ზუსტად 10 პროცენტს არ დააფიქსირებდი.

იხ. 4 გვ.

საქართველოსთვის მლოცველი

# ბერად აღკვეცილი ბერმუხა

**ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენთი ხომ თავისთავადაც მშვენიერებაა...**

***გასულ შაბათს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ქართული მწერლობის (და არა მხოლოდ მწერლობის) ბერმუხა, გნებავთ მახვში, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი... ბერად აღიკვეცა.***

***ბერი დავითი... ეს სასულიერო სახელი უწოდა მამა სერაფიმემ, ვინც ამ ერთ-ერთ საიდუმლოსთან დაკავშირებული რიტუალი ჩაატარა, როგორც გამონაკლისი, არა რომელიმე ეკლესიაში, არამედ ბატონ ჭაბუას ერთი ციცქნა ბინაში. მას, ანუ ბერ დავითს, ასევე გამონაკლისის სახით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საკუთარ ბინაში ცხოვრების და, სურვილის შემთხვევაში, საერო მოღვაწეობის გაგრძელების, რისამე დაწერა იქნება თუ სხვა რამ, ნება დაერთო.***

საერო პირების, ძირითადად მეფე-თავადთა, ღრმა მოხუცებულობაში ბერად აღკვეცის ტრადიცია დიდი ხანია არსებობს საქართველოში, რაც ასევე დიდი ხანია, რამდენიმე საუკუნეა, არ აღსრულებულა. ანუ, ამა თუ იმ მოღვაწეს ბერად აღკვეცის პატივი სწორედ ერისკაცობის ეკლიან გზაზე უხინჯოდ სიარულისთვის ექლეოდა ხოლმე.



ბატონი ჭაბუას განვლილი გზა ხომ ერთი დიდი ტანჯვა, მარტვილობა, გნებავთ, გოლგოთა იყო, ხოლო მისი უკვდავი „დათა თუთაშხია“, მომიტევონ ეკლესიის მამებმა, თუ ამის თქმა მკრეხელობაა, მაგრამ გარკვეულწილად თვით სახარების როლსაც ასრულებდა გასული საუკუნის ათეისტურ ხანაშიც და ახლაც, როდესაც არანაკლები გააფთრებით ებრძვიან ყოველივე ქართულს, მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს.

აქედან გამომდინარე, ბატონი ჭაბუას ბერად შედგომა სცილდება ამ აქტის პიროვნულ-სუბიექტურ, გნებავთ, ინტიმურ შინაარსს და ზოგად ქართულ, ეროვნულ დატვირთვას იძენს. ვფიქრობ, ამით საქართველოს ეკლესიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩვენში ყოველთვის ერი ბერისთვის და ბერი ერისთვის იყო, რამაც ისტორიული ქარტეხილების მიუხედავად გადაგვარჩინა და დღევანდელ დღემდე მოგვატანინა გვემული სხეული და ქართული სულიერება.

სხვისი არ ვიცი და, პირადად მე ეს აქტი, გარკვეულწილად, ჩვენი ეკლესიისგან პროტესტადაც აღვიქვი იმის გამო, რომ დიახაც, როგორც არასდროს, ამ ყველაფერს გააფთრებით ებრძვიან ნაქართველარი მანქურთები.

ბატონი ჭაბუას, დიახაც, ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელად პატარა ბინაში (თორემ მას ასეთი წვრილმანებისთვის რომ არასოდეს „სცხელოდა“, საკუთარი ცხოვრებით დაამტკიცა), საზოგადოებაში ცნობილი, პატივსაცემი ადამიანების, რომელთა ჩამოთვლასაც არ დავიწყებ, ტევა არ იყო. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ძირითადად სახალხო წარმომადგენლობით კრებაში გაერთიანებული, ან ამ კრების თანამგრძნობი ინტელიგენცია იყო.

კრებისა, რომლის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი, თუ არ ვცდები, საპატიო თავმჯდომარეც კი, ბატონი ჭაბუა ბრძანდება, რაც, არა მგონია, მისი უწმინდესობის ილია მეორისთვის, რომლის ლოცვა-კურთხევითაც მიენიჭა ჭაბუა ამირეჯიბს ბერად აღკვეცის პატივი, უცნობი ყოფილიყო, ანუ...

ეს ისე, ცნობისთვის და პოლიტიკური ოპოზიციის დასაოკებლად, ვინც ხელისუფლებასთან ტანდემში ცდილობს სახალხო კრების დისკრედიტაციას.

იჯდა აწ უკვე ბერი დავითი შესაბამისი სამოსით, მართლაც ისეთი შვიდი და მშვენიერი, როგორიც ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენთია და მომავალში, თუ ისევ დათა თუთაშხიას ავტორს დავესესხებით, ეს დამწვარი სანთელი, წყვდიადის შემანგრეველ ძალად იქცევა, რადგანაც, ვიმეორებ, ის, რაც მოხდა, შორს სცილდება პიროვნულ-სუბიექტურს და ქვეყნისთვისაც დიდი მადლია.

რაც შეეხება პიროვნულს, ეს ის არის, რასაც თავად ბატონი ჭაბუა მიქცევისათვის მზადებას უწოდებს, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ რჩეულთა, ჭაბუასნაირი დიდი კაცების ნიჭია.

**ამიტომ ვერ ვკადრებ ბატონ ჭაბუას ისეთ სულელურ დალოცვას — 200 წელი იცოცხლეო, — რომ ჰქვია. უბრალოდ ვიტყვი — გიხაროდენ, ბერო დავით, რადგანაც უფალი თქვენთან არს და ამიტომ თქვენი ცხოვრება მანამდე გაგრძელდება, სანამ თქვენს საყვარელ სამშობლო საქართველოს უწერია სიცოცხლე.**

**მრავალჟამიერ, ბატონო ჭაბუა — ბერო დავით!..**

**დავით მხეიძე**

SIC!

(მესამე გვერდიდან)

სახელმწიფომაც გაიჩინა შემოსავალი და ნახეთ როგორი ცუღლუტური ქცევით: მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კანონმდებლობის 168-ე მუხლის თანახმად გრანტიდან საშემოსავლო დაქვითვის განხორციელება არ შეიძლება. ამიტომ გრანტის მფლობელს უნივერსიტეტი უფორმებს ე.წ. საგრანტო შრომით ხელშეკრულებას გრანტის მოქმედების ვადით და დაქვითვას ახორციელებს ჩვეულებრივი წესით, აკავებს ხელფასის 12 პროცენტს. ამასთან, საუნივერსიტეტო საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, დამსაქმებელი თურმე უნივერსიტეტია. ასეთ ხელშეკრულებაში აღნიშნული არაა თუ რა თანამდებობაზე აჰყავთ გრანტის მფლობელი, სამეცნიერო თუ დამხმარე შტატზე?! ეთვლება თუ არა ასეთი მუშაობა გრანტის მფლობელს სამეცნიერო სტაჟად? ასე, რომ ძალიან განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან უნივერსიტეტის შტატში მყოფი გრანტის მფლობელები და შტატს ხალხი ხომ არ არიან, რომელთაც სამუშაოს ზედამხედველი შეკრებს ხოლმე ობიექტის მშენებლობისათვის?! მეცნიერი მუდმივად უნდა მუშაობდეს პრობლემაზე, რათა არ ჩამორჩეს სამეცნიერო მიღწევებს, რომლის საქმის კურსშიც იგი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს. მეცნიერები, რომლებმაც არაერთხელ მიიღეს გრანტი, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ. აი, ის საკითხები, რომლებსაც უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს! ახლად დანიშნულმა რექტორმა დათხოვილი კვალიფიციური მეცნიერები ისევ უნდა აღადგინოს უნივერსიტეტის მუდმივ შტატში.

გ. ღვედაშვილის უწყება ყოველკვარტალურად ითხოვს საგრანტო სამუშაოების ანგარიშს. გვერდს ვერ აუვლი ამ უწყებას, რადგან მისი დასტურის გარეშე ანგარიშს ვერ ჩააბარებ ფონდში. საერთოდ რა საქმე აქვს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს საგრანტო კვლევებთან: არსებობს გრანტების გამცემი ფონდი, რომელიც ყოველმხრივ დეს! გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ნახევარი შენობა გაასხვისეს ტურიზმის ფაკულტეტზე (საიდან სადაო, არა?), რომლებიც ჯერაც არ ჩანან ჰორიზონტზე! იგივე ბედი ელის აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს უნივერსიტეტებთან გაერთიანების შემდეგ! სამეცნიერო უწყებების ხელმძღვანელებმა კი უნდა იცოდნენ, რომ სამეცნიერო პროდუქტის სიმძლავრე დასაქმებულ მეცნიერთა რაოდენობაზეა დამოკიდებული!

ამასთან უნდა აღვნიშნო, რომ დაქვემდებარებული ინსტიტუტების ხელმძღვანელებს უნივერსიტეტმა დამოუკიდებელი მართვის უფლება მისცა და დირექტორები თავისი ინტერესებიდან გამომდინარე განკარგავენ გამოყოფილ თანხას და ასევე თავისი ინტერესებით მოქმედებენ. მაგალითად, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა გ. ჯაიანმა წელს თავის სურვილით ჩაატარა ნაწილი თანამშრომლების სამეცნიერო კონკურსი, ხოლო მისთვის სასურველი პირები (როგორც თვითონ დაუფარავად აცხადებდა)

# ღემაგოგიის ღვარი

გარეშე დარჩენილი კვალიფიციური, გრანტის მფლობელი მეცნიერები. ამრიგად, თბილისის უნივერსიტეტში საგრანტო სამეცნიერო ურთიერთობა აშკარად საჭიროებს სამართლებრივი კანონმდებლობის დახვეწას!

რა თქმა უნდა, საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიღმა დარჩენილი უმუშევარი კვალიფიციური მეცნიერები, რომლებიც, რა თქმა უნდა, შედარებით ხშირად გაიმარჯვებენ. ამიტომაა, რომ აცხადებს გ. ღვედაშვილი, „უნივერსიტეტი ლიდერია მეცნიერული კვლევების დონით და მოპოვებული გრანტების რაოდენობით... ეს გამოწვეულია როგორც მაღალი სამეცნიერო პოტენციალით, ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ გატარებული კონკრეტული ღონისძიებებით... ჩვენი დეპარტამენტის მიზანია უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“... აი, ბოლო ორი წინადადება ნამდვილად მიუღებელია ბატონ გიორგის დასკვნებში. მეც გახლავართ საქართველოს სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელი და დღემდე ვერ ვგრძნობ თუ რა საქმიანობას ეწევა გ. ღვედაშვილის დეპარტამენტი, რა კონკრეტული ღონისძიებები გაატარა მან იმისათვის, რომ მე კონკურსში გამემარჯვებინა. ისმის კითხვა რამდენად მდგრადი და სტაბილურია უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლებისათვის საგრანტო სისტემა? რა ქნას მეცნიერმა გრანტის დამთავრების შემდეგ? როგორ შეინარჩუნოს უხელფასოდ სამეცნიერო კვალიფიკაცია? რატომაა, რომ უნივერსიტეტის შტატში მყოფები ხშირად ვერ ღებულობენ გრანტს, ხოლო კვალიფიციური მეცნიერი გრანტის დამთავრების შემდეგ ისევ უმუშევარი რჩება? უნდა მოგახსენოთ, რომ ახალი გრანტის მოსაპოვებლად განაცხადის შეტანისას საჭიროა შეივსოს გრაფა, თუ სად მუშაობს განცხადების შემომტანი მეცნიერი! მუდმივი სამუშაოს არმქონე უნივერსიტეტყოფილი მეცნიერი, რა თქმა უნდა, ისევ უნივერსიტეტს მიმართავს, ხოლო გ. ღვედაშვილის დეპარტამენტმა შეუძლება უარით გამოისტუმროს ჩემნაირი არასასურველი მეცნიერი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული სამეცნიერო ღონისძიებების მიმართ. რატომ არ უნდა გააჩნდეს გრანტის მფლობელებს მუდმივი სამუშაო ადგილი? თუკი მეცნიერი ხშირად ღებულობს გრანტს, ის ხომ აშკარაა, რომ კვალიფიციური მეცნიერია და რატომ ვერ იყენებს მას სახელმწიფო ეფექტურად? მეცნიერები ხელოსნები, კალატოზები, შემდუღებლები ან სხვა ანალოგიური პროფესიის ანალიზს უკეთებს საგრანტო ანგარიშებს და დამატებითი ანგარიშის წარდგენა უნივერსიტეტის სამეცნიერო ფონდში აბსოლუტურად საჭირო არაა. ანდა, როგორ აკონტროლებს დეპარტამენტი უამრავ სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების პროექტების ღირებულებას? ცხადია, ეს დეპარტამენტი არასასურველ მეცნიერებზე ზემოქმედების განხორციელების მიზნით შეიქმნა. მათ შეუძლიათ ხელი არ მოგიწერონ და ვერ წარადგენ არა მარტო საგრანტო ანგარიშს, არამედ, საგრანტო განაცხადსაც ვერ შეიტან ფონდში და დარჩები უმუშევარი. ბევრი გრანტი მიმიღია და ურთიერთობა მხოლოდ გრანტის გამცემ ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოებდა, არასდროს მესამე ორგანიზაცია ამ საქმიანობაში არ ჩარეულა! ასე რომ, გრანტის მფლობელისა და ფონდის ურთიერთობას უნივერსიტეტის ე.წ. სამეცნიერო დეპარტამენტი არ უნდა აკონტროლებდეს.

სამეცნიერო დეპარტამენტი უნივერსიტეტის შიდა სამეცნიერო საქმიანობას უნდა აკონტროლებდეს და შესაბამისი პრობლემებით უნდა იყოს დაკავებული. გ. ღვედაშვილი აცხადებს: „... მინდა იმ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე მოგახსენოთ, რომლებიც უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ესენი არიან მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. ჩვენ დავნერგეთ ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ეს ინსტიტუტები წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს აკეთებენ... აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ხელფასები მაღალია მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელთა საშუალო ხელფასზე... ზოგადად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრაცია წინგადადგმული ნაბიჯია და კარგია, რომ ეს პროცესი დაიწყო“. კი, მაგრამ, სამეცნიერო მუშაობა ინტეგრირებული არ იყო უნივერსიტეტში? თვითონ არ დაანგრიეს ყოველივე? მკითხველმა მინდა იცოდეს, რომ ზემოთ ხსენებული ორი ინსტიტუტი წლების მანძილზე გაუქმებული იყო! საერთოდ როგორ გაბედეს და აკადემიკოს ი. ვეკუას დაარსებული უნიკალური ინსტიტუტი გააუქმეს?! მრავალი ქვეყნიდან ჩამოდიოდა აქ ხალხი სამეცნიერო საქმიანობის შესასრულებლად! მხოლოდ ბოლო ორი წელია ეს ინსტიტუტები მწირ დაფინანსებას იღებენ, 400-კაციანი ინსტიტუტები 20 თანამშრომლამდე დაიყვანეს და მეცნიერის მაქსიმალური ხელფასი 400 ლარი გახაუკონკურსოდ მიიღო. საკონკურსო კომისიამ კი, კონკურსის შედეგად სწორედ ის თანამშრომლები დაითხოვა, რომლებსაც გრანტი ჰქონდათ მოპოვებული?! სამაგიეროდ კომისიის წევრებმა სხვა ინსტიტუტში მომუშავე თავის ხალხს გაამარჯვებინეს. ყველაფერი ამის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტის რექტორი და გ. ღვედაშვილის დეპარტამენტი (რომელიც თავს იწონებს ინტერვიუში, გრანტის მფლობელებს ხელს ვუწყობო!), მაგრამ მათ არანაირი ინიციატივა არ გამოიჩინეს საქმის გამოსასწორებლად! დირექტორების ასეთი უკონტროლო მოქმედების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბევრი მათთვის სასურველი თანამშრომელი სხვადასხვა ადგილზე მუშაობს, მაშინ როცა ბევრი კვალიფიციური მეცნიერი უმუშევარია! გამოდის, რომ ასეთი ხალხი ერთ სამეცნიერო პრობლემაზე მუშაობისათვის მრავალ ხელფასს ღებულობენ. შეუძლებელია მეცნიერი მრავალ ღირებულ სამეცნიერო პრობლემას ერთდროულად ასრულებდეს! ცხადია დირექტორების ასეთი კორუფციული ქმედების შინაარსიც: მე შენს ხალხს მივიღებ სამსახურში, სამაგიეროდ შენ, მე და ჩემი ხალხი მიგვიღე სამსახურში! განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა აკრძალოს ორ ადგილზე მეცნიერის მუშაობა. ყველაფერ ამას იმიტომ ვწერ, რომ უნივერსიტეტთან შემოსაერთებელმა ინსტიტუტის თანამშრომლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რა ბედი ელით.

აი, ის სამეცნიერო პრობლემები, რომელთა მოგვარებას უნდა ახდენდეს გ. ღვედაშვილის სამეცნიერო დეპარტამენტი უნივერსიტეტში და რომელთა გაგება, სამწუხაროდ, გაუჭირდება არამეცნიერ გ. გაბაშვილს, ი. კვიტაშვილს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს დ. შაშკინს. სამწუხაროდ, არაპროფესიონალმა სახელმწიფო მესვეურებმა დღემდე ვერ აამოქმედეს მათ მიერ დანგრეული განათლებისა და სამეცნიერო სისტემა. აი, რატომაა საჭირო განათლების სისტემაში მხოლოდ პროფესიონალები მუშაობდნენ!

P. S. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე, სამეცნიერო გრანტის მფლობელმა, მაგრამ უნივერსიტეტის შტატში არმყოფმა, დღემდე არ ვიცი ვითვლები თუ არა უნივერსიტეტის თანამშრომლად, ან რა თანამდებობა მიკავია! ამიტომ წერილს ხელს ასე მოვაწერ:

**თამაზ კალაძე,**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე მომუშავე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

განსჯა

# მიშას ახალი კავკასიური ცარცის წრე...

**უკვე მერვე დღეა რაც რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღე) ჩაწერილი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრებისთვის 90-დღიანი უვიზო რეჟიმი მოქმედებს. იგი საქართველოს ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილებით, 13 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულების თანახმად.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის მიერ სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე გახმოვანებული „ერთიანი თავისუფალი კავკასიის“ ინიციატივის ხორცშესხმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

როგორც ცნობილია, ინიციატივის მთავარ მოტივად და მიზნად სააკაშვილმა კავკასიიის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის და თანამშრომლობის დამყარება და კავკასიელ ხალხებს შორის მეგობრობის ხელშეწყობა გამოაცხადა.

თუმცა უვიზო რეჟიმზე შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების შინაარსმა და პათოსმა გარკვეული ეჭვები გააჩინა ამ ინიციატივის რეალურ დანიშნულებაზე. განცხადებაში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ საქართველოში „ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ყველა იმ სიკეთით, რომელსაც კორუმპირებული და რეპრესიული ფედერალური რეჟიმის პირობებში მოკლებული არიან სამშობლოში“.

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა კიდევ უფრო განამტკიცა ეჭვი, როდესაც განაცხადა, რომ უვიზო რეჟიმი დაეხმარება საქართველოსა და ამ რეგიონის ინტეგრაციას, რომელიც რუსეთის ფედერალური ძალების ტერორის ქვეშ გმინავს.

რიტორიკაში შსს-ს არც საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩამორჩა. მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღების გადაწყვეტილება წარმოადგენს თბილისის მცდელობას დაუპირისპირდეს მოსკოვის ანტიქართულ პროპაგანდას, რომელიც თურმე ჩრდილო კავკასიაში „ცდილობს შექმნას საქართველოს, როგორც წარუმატებელი ქვეყნის პროპაგანდისტული იმიჯი, ქვეყნისა, სადაც არაფერი ხდება. ამრიგად, ჩვენ ვხსნით საზღვრებს, ჩვენ გვინდა, რომ ეს ხალხი ჩამოვიდეს საქართველოში და თავად ნახონ რა მიღწევები გვაქვს“. ვაშაძის განცხადებით, „კრემლში არსებული რეჟიმი კარნახობს მათ(ჩრდილოკავკასიელებს)ძ სად წავიდნენ, რა გააკეთონ, როგორ მოიქცნენ, ვისთან იმეგობრონ და ვისთან არა“. თბილისი თურმე ფრიად შეწუხებულია ამით.

ვაშაძის განცხადებით, „ვერავინ (ჩრდილოეთ კავკასიაშიძ ვერ ახერხებს თავიანთი შვილები მოსკოვის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში გააგზავნოს (?!ძ, ხოლო აქ (საქართველოშიძ ჩვენ გვაქვს მსოფლიო დონის, ევროპული დონის უნივერსიტეტები (?!ძ, რატომ არ უნდა გამოაგზავნონ ისინი საქართველოში?“

სად არის იმის დოკუმენტური მტკიცება ან სტატისტიკა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღების, საქართველოში დასვენების, განათლების მიღების, ბიზნესის კეთების სურვილი ჩრდილოკავკასიელებში მასობრივ ხასიათს ატარებს? ალბათ, საინტერესო იქნებოდა იმის გაგება მაინც რამდენი ასეთი წერილი მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოკავკასიიდან? ან ამ საკითხზე საქართველოს საზოგადოების აზრით თუ დაინტერესდა ხელისუფლებიდან ვინმე ?

თუმცა მთავარი მაინც იმის დადგენაა, თუ რას ესწრაფვის სინამდვილეში თბილისი ამ აქციით, რა სარგებელს მიიღებს ამით ჩვენი სახელმწიფო და რა საფრთხეები შეიძლება ელოდეს.

ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები აცხადებენ, რომ უვიზო რეჟიმი საქართველოს ახალი კავკასიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რაც იმას მიანიშნებს, რომ თანდათანობით ამ პოლიტიკის სხვა კომპონენტებიც გამოვა სააშკარაოზე.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა აღიარა, რომ „საქართველოს დიდი ხნის განმავლობაში იგნორირებული ყავდა მისი უშუალო მეზობლები“.

რატომ შეწუხდა თბილისი ჩრდილოკავკასიელთა პრობლემებით მაინცადამაინც ახლა, აგვისტოს ომიდან ორი წლის შემდეგ ?, ან რატომ აჩქარდა ასე საქართველოს ხელისუფლება? ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება წმინდა სუბიექტურ სიბრტყეში იდოს. საქმე ის არის, რომ გაეროში სააკაშვილის მიერ გახმოვანებულ ინიციატივას პრაქტიკულად ნულოვანი რეაქცია მოჰყვა როგორც საერთაშორისო წრეების, ისე ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებიდან. ექსპერტულ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს იყო სააკაშვილის მორიგი ფუჭი პოლიტიკური „პიარ-აქცია“.

საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად სააკაშვილის მხრიდან კი ამ ინიციატივაზე, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ფსონია დადებული. ამით ისინი ცდილობენ აღუდგინონ საქართველოს რეგიონის ლიდერის პრეტენზია და რეგიონში დასავლეთის ინტერესების ერთგული დამცველის როლი, სააკაშვილს კი აღუდგინონ დასავლეთისთვის კვლავაც საჭირო ლიდერის იმიჯი. ამიტომაც ინიციატივის დიდხანს „გაციება“ არ შეიძლებოდა და უვიზო რეჟიმის შემოღებით თბილისი ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო წრეები, რომ სააკაშვილის ეს ინიციატივა სერიოზული და გრძელვადიანია, საქართველო კი მის რეალიზაციის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს თუ სათანადო მხარდაჭერა მიიღო. პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მომენტიც შესაბამისია. გამომდინარე იქიდან, რომ მოსკოვს უჭირს ჩრდილოეთ-კავკასიაში სიტუაციის სრული კონტროლი, საქართველომ აშშ-ს და ევროპას შესთავაზა მაცდუნებელი პროექტი, რომელშიც საქართველო კვლავ გვევლინება დასავლეთის ერთგვარი ავანგარდის როლში პოსტსაბჭოთა სივრცეზე და რომელიც პერსპექტივაში ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დემოკრატიული მოძრაობისა და სამოქალაქო წინააღმდეგობის მეთოდებით ჩრდილო-კავკასიაში რუსეთის გავლენის განუხრელ შემცირებას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება გარკვეულწილად იმეორებს 2003-2007 წლების სტრატეგიას, როდესაც ის დასავლეთს საქართველოს სთავაზობდა მოწინავე ანტირუსულ ბასტიონად პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის („ფერადოვანი რევოლუციების“ძ გასავრცელებლად. **2008 წელს საქართველო ამისათვის უმკაცრესად დაისაჯა რუსეთის მიერ.**

საერთაშორისო რეზონანსი ხელისუფლების ინიციატივას მაინც მოჰყვა.

BBC აღნიშნავს, რომ „სააკაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ადამიანებისთვის საქართველოში უვიზოდ შემოსვლის გადაწყვეტილებას ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის გამოიყენებს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ **რუსეთი ამ ნაბიჯს პროვოკაციას უწოდებს.**

არ არის გასაკვირი, რომ უვიზო რეჟიმის ინიციატივას ყველაზე პირველად საჯაროდ მიესალმნენ ჩრდილოკავკასიის ისტებლიშმენტის ის წარმომადგენლები, რომლებიც რუსეთს მტრად მიიჩნევენ, ებრძვიან და ნებისმიერი მხარდაჭერა მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მით უმეტეს ღირებულია ის საქართველოსგან, რომელსაც აგვისტოს ომის შემდეგაც კი ჩრდილოკავკასიურ პრობლემებთან მიმართებაში სირაქლემას პოზა ეკავა.

ჩეჩნური წინააღმდეგობის მოძრაობის გავლენიანი წარმომადგენელი უცხოეთში, საფრანგეთში მოღვაწე ისტორიის დოქტორი მაირბეკ ვაჩაგაევი ქართული დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევს, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება რუსეთთან შეუთანხმებლად და კრემლისთვის მოულოდნელად მოხდა და მისი ნაცნობი ჩრდილოკავკასიელები (ადვილი მისახვედრია ვისზეა საუბარიძ ამ ინიციატივას მხურვალედ მიესალმნენ. ვაჩაგაევს, საქართველოში ჩეჩნური დიასპორის ლიდერს ხიზრი ალდამოვს და მსგავსი ბექგრაუნდის მქონე ჩრდილოკავკასიელებს მიაჩნიათ, რომ ინიციატივა საქართველოსა და ჩრდილოკავკასიას შორის აფხაზეთის ომის შედეგად გაციებულ ურთიერთობებს დაათბობს, საქართველოს და დანარჩენ კავკასიას საერთაშორისო მხარდაჭერით ერთიანი ძალით დაუპირისპირებს რუსეთს.

ექნება თუ არა ინიციატივას რეალური საერთაშორისო მხარდაჭერა, უახლოეს ხანში გამოჩნდება. მანამდე კი იმაზე მოგვიწევს დაფიქრება, რამდენად მიღწევადია უვიზო რეჟიმის დასახული მიზნები და რას უნდა ველოდოთ. ბუნებრივია, ეს ეჭვები არ გაჩნდებოდა საქართველოს და რუსეთს მინიმუმ კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობები რომ აკავშირებდეთ. ასეთ შემთხვევებში საზღვრებზე მიმოსვლის გამარტივება მსოფლიოში მიღებული და აღიარებული პრაქტიკაა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში სერიოზული ინტერესები აქვთ დიდ საერთაშორისო მოთამაშეებს, თბილისის ეს ინიციატივა ძალიან სერიოზულ განხილვას საჭიროებს ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის საქართველოს საზოგადოების უმრავლესობა ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას უარყოფითად აფასებს და მასში უფრო საფრთხეებს ხედავს. ამას მოწმობს ქართულ ინტერნეტ-ფორუმებზე მიმდინარე გამოკითხვები და გამოხმაურებები. თუკი უვიზო რეჟიმს საქართველოში ჩრდილო-კავკასიიის მოსახლეობის მასობრივი შემოდინება მოჰყვა, რამაც შეიძლება ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია გაართულოს და სხვა არასასურველი ექსცესებიც გამოიწვიოს, ეს ბუნებრივად ქართული მოსახლეობის პროტესტს გამოიწვევს. ამას კი შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. შესაძლოა ამით რუსეთმა ისარგებლოს. ქართული საზოგადოება არც მორალურად და არც ფსიქოლოგიურად არ არის მზად ამ ინიციატივისათვის.

რაც ყველაზე უფრო სახიფათოა და ეს მკაფიოდ იკითხება ოფიციალურ პირთა განცხადებებში, **საქართველო ამ ინიციატივით ხაზს უსვამს ჩრდილოკავკასიის განცალკევებულობას რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტებისგან, რაც რეგიონში ისედაც ფეხმოკიდებული სეპარატისტული განწყობების კიდევ უფრო მეტი წახალისებაა. იაკობაშვილის განცხადებით, „საქართველოს უშუალო მეზობლები ჩრდილოკავკასიელები არიან და არა — სლავური რუსეთი!?“.**

დავუმატოთ უვიზო რეჟიმს ოფიციალური თბილისის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გეგმები და გააქტიურებული კონტაქტები ანტირუსულად განწყობილ ჩრდილოკავკასიურ წრეებთან და წრე, როგორც იტყვიან, შეიკვრება.

ჩრდილო-კავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმი შესანიშნავ საშუალებას აძლევს საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებს, მათთან დაახლოებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნან მხარდამჭერთა ეფექტური ქსელი. არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა დაიწყონ ჩრდილოკავკასიიდან შემოსული აქტიური და მოტივირებული ადამიანების გადმობირება და მათგან ე.წ. „ზეგავლენის აგენტთა“ მომზადება, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დემოკრატიის მოთხოვნის ლოზუნგებით გაშლიან აქტიურ საზოგადოებრივ კამპანიას. თბილისში კი იტყვიან, რომ საქართველოში ვიზიტებმა ეს ხალხი სწრაფი დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობაში დაარწმუნა. ბუნებრივია ეს დადებით გამოხმაურებას ჰპოვებს დასავლეთში, აქედან გამომდინარე, ყველა პოზიტიური შედეგით ხელისუფლებისათვის.

ხელისუფალთა განცხადებით, გადაჭარბებულია შიში, რომ უვიზო რეჟიმით ტერორისტები და სხვადასხვა ჯურის კრიმინალები ისარგებლებენ, „არგუმენტები“ კი ასეთია: ტერორისტები ლეგალური გამშვები პუნქტებით არ სარგებლობენ, ხოლო საქართველოში ტერაქტის მოსურნეებს სავიზო რეჟიმი ვერ შეაკავებს. **მაშინ რატომ ვუმარტივებთ მათ საქმეს უვიზო რეჟიმით? ან კი რამდენად რეალურია, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპეცსამსახურებმა შეძლონ საზღვარზე გადმოსული ყველა ტერორისტის ან კრიმინალის გაშიფრვა. როგორ მოახერხებენ, მაგალითად, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე პრეტენზიების მქონე ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები „დარიალის“ მსგავსი რადიკალური ორგანიზაციების წევრთა ამოცნობას და განეიტრალებას?**

გარდა ამისა, რუსულ საზღვარგარეთის პასპორტში ჩაწერის ან რეგისტრაციის გრაფა არ არსებობს და მახაჩყალაში აღებული პასპორტის მფლობელი შეიძლება მოსკოვში ან პენზაში ცხოვრობდეს. კონსპირაციაში საკმაოდ გამოცდილ ისლამისტ ბოევიკებს თავისუფლად შეუძლიათ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა „სუფთა პასპორტით“. მეორე საკითხია, რამდენად ვრცელდება უვიზო რეჟიმი ჩრდილოკავკასიაში საკმაო რაოდენობით მცხოვრებ რუს მოსახლეობაზე. მათაც ექნებათ საშუალება დატკბნენ ქართული რეფორმების „სიკეთეებით“?

ან კი როგორ მოასწრებენ ჩრდილოკავკასიელები 90 დღის განმავლობაში საქართველოში არსებული „სიკეთეებით“ სარგებლობას, რომლითაც საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის უმეტესობა ვერ სარგებლობს? მცირეა ალბათობა, რომ ისინი საქართველოში რაიმე სერიოზული ბიზნესით დაკავდნენ, აქაურ განათლებას დახარბდნენ ან ტურიზმში ფული დახარჯონ.

ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკები დიდი ხანია ტერორიზმით, კრიმინალით და ომით არის გათანგული. მოსახლეობის უმეტესობა ეკონომიურად გაჭირვებულია და უამრავი პრობლემა აქვთ. სამაგიეროდ დიდია ალბათობა, რომ ბევრი ჩრდილოკავკასიელი, რომელსაც რუსეთის ფედერალურ ხელისუფლებასთან ან იქაურ კანონმდებლობასთან პრობლემები აქვთ, ამ პრობლემებს საქართველოში დაემალოს და ამაში მათ რუსებმა ხელი შეუწყონ იმისათვის, რომ შემდეგ საქართველო ტერორისტების მფარველობასა და შეკედლებაში დაადანაშაულონ და ამით ხელფეხი გაიხსნან მორიგი აგრესიისათვის. მით უმეტეს, რომ რუსეთის ახალი კანონმდებლობით მათ ეს შეუძლიათ.

თუკი ამ ინიციატივის ფარული მიზანი ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის კიდევ უფრო მეტი დესტაბილიზაციაა, რას მოიგებს საქართველო, თუკი ამ დესტაბილიზაციის ტალღა მის ტერიტორიასაც მოსწვდება?

რუსეთში თბილისის ინიციატივა უკვე შეფასდა როგორც პროვოკაცია და რუსეთისაგან ჩრდილო-კავკასიის მოწყვეტის მცდელობა. კონტრზომები, სავარაუდოდ, დიდხანს არ დააყოვნებს, თუკი მოსკოვმა ჩათვალა, რომ ქართული რეფორმებით ჩრდილოკავკასიელთა „ნათლობა“ რუსეთისთვის საფრთხის მატარებელია, მით უმეტეს ახლა, როდესაც რუსეთი აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიაში მყარად დამკვიდრებას გეგმავს. საქართველოს წინააღმდეგ მორიგი პროვოკაციის მოწყობა რთული არ არის და აქედან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური კითხვა: **რამდენად არის თბილისის ამ ახალი ინიციატივის სიცოცხლისუნარიანობა და უსაფრთხოება უზრუნველყოფილი შიდა თუ გარეშე რესურსებით?**

**ჯერჯერობით ამ კითხვაზე ხელისუფლებას პასუხი არა აქვს.**

**ზაალ ანჯაფარიძე,**

ჯი-ეიჩ-ენი



№ 194. სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 2010 წელი.

ვაი მთავრობისგან

# „გამარგლული“ ქვეყანა,

## ანუ ხელისუფლებას კორუფცია უგზოუკვლოდ დაეკარგა...

***ერთი** სული მაქვს, მთელი ძალით, ხმის ჩახლეჩვამდე ვიყვირო: კორუფციავ, შე ვიგინდარა ვირიშვილო, თუ სადმე ცოცხალი გადარჩი, შეგვეხმიანე, დაგვენახვე, თუ მთელი ტანით არ გამოჩნდები, რამეთუ ჩადენილი უსაქციელობისა გესირცხვილება, მოფარებულიდან ცხვირი მაინც გამოყავი. არა, არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ისე გამარგლა ხახვის კვალივით ქვეყანა კორფციისგან ამ ჩვენმა მიკვირდისა პრეზიდენტმა, რომ ბოლოჟამს მოძალებულ უცხოელ ტურისტთა საჩვენებლადაც აღარ დაგვიტოვა. არადა, წინა ხელისუფლების დროს კორუფცია ისე იყო მოდებული სარეველასავით, რომ მეზობელი ქვეყნებიდან სასესხებლადაც კი მოდიოდნენ.*

აფსუს, რა განძი დავკარგეთ?!.

ამ ორი დღის წინათ ტელევიზიით რომ გადმოსცეს, განათლების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ჩიკვაიძე გაბაწრესო, ვიფიქრე, ჰე ბიჭო, გვშველებია, კორუფცია ისევ მობრუნებულა-მეთქი, მაგრამ თურმე სულ ტყუილად ვინუგეშე თავი. ამას (ჩიკვაიძეს!) ვიღაც ქალბატონის თხოვნით, ვიღაც მშენებლისთვის 700 ათასი ლარი ჩაურიცხავს სკოლის გასარემონტებლად. იმ მშენებელს დაზარებია ამხელა რემონტის გაკეთება, რაღაც 200 ათასისა შეუკეთებია, დანარჩენი 500 ათასი ლარი კი ჯიბეში გაუქანებია. ბოლოს გახსენებია, რომ მინისტრის მოადგილესაც შეიძლება სჭირდებოდეს ფულიო და 40 ათასი ლარი იმისთვისაც ურგუნებია. ეს ამბავი დაიხვია ხელზე გამოძიებამ (კიდევ ძველი ცოდვებიც მიამატა (სულ 1 მილიონ 200 ათას ლარზე მეტი შეუჭამიაძ და ჩიკვაიძე ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. მექრთამეობაში და არა კორუფციაში. მე კი შეცდომით ლამის კორუფციონერობა დავწამე(!?).

აი რას ნიშნავს გამოუცდელობა და ამას მიმატებული დაუკვირვებლობაც. კარგად რომ დავკვირვებოდი და საქმის არსში ღრმად ჩამეხედა, ასეთ შეცდომას ხომ არ დავუშვებდი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი — სწავლა სიბერემდეო. თუმცა არის გამონაკლისებიც. აი, ჩვენი მიშა, იგივე პრეზიდენტი, ჯერ შუა ასაკამდეც არ არის მოყრილი, მაგრამ კორუფცია და მექრთამეობა, ისევე როგორც უამრავი სხვა რამ, არასოდეს ერევა ერთმანეთში. ღმერთმა დაიფაროს, თორემ ამდენი მექრთამის ალყაში მოქცეული ხელმწიფე როგორღა მოიწონებდა თავს მთელ მსოფლიოში კორუფციის ერთხელ და სამუდამოდ დასამარებით? ან თავად მსოფლიოს სარეიტინგო უწყებას სირცხვილით თავი სად გამოეყოფოდა (ამ უწყებამ ამას წინათ საქართველოს რეიტინგი ერთი საფეხურით კიდევ მაღლა ასწია!), პოლიციის გამჭვირვალე შენობებით დამფრთხალი კორუფცია საქართველოში ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკთა ყრუ კაბინეტებში რომ იმალებოდეს?

არა და არა! მექრთამეობა, კი, ბატონო, იყო და კვლავაც დიდხანს იბატონებს საქართველოში (ამ სენით დაავადებული ლამის გარემოს დაცვის მთელი სამინისტრო დააპატიმრეს), მაგრამ რაც შეეხება კორუფციას, ის სამარიდან ველარასოდეს ამოაღწევს. კაცს გაკეთებული და ნაღვაწი არ უნდა დაუკარგო. მიშამ, მართალია, რუსეთთან ომი წააგო, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთზე უფრო დიდ მტერს — კორუფციას სულ კუდით ქვა ასროლინა. მასთან ერთად იმავე კანონიერ ქურდებსაც, რომლებიც მოხვეტა და ერთიანად რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში გადარეკა. ახლა გამარჯვებულ რუსეთს ძალიანაც უნდა დამარცხებული საქართველოდან კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილებას ეზიაროს, მაგრამ, როგორც მიშა ამბობს, ხოლმე — ნურას უკაცრავად, მან ჯერ ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს და გამოცდილების გაზიარებაზე მერე გველაპარაკოს.

აბა როგორ, გაივლის ცოტა დრო და „გამარჯვებულ“ ოკუპანტ რუსეთს „დამარცხებული“ დემოკრატიის შუქურა საქართველოსგან ბევრი რამის სწავლა მოუწევს! თუნდაც იმის სწავლა, საქართველოდან გარეკილი ქურდები ხელისუფლებამ საზღვარგარეთის ქვეყნებში როგორი წარმატებით დაასაქმა და მათი ფუნქცია ასეთივე წარმატებით თავად როგორ შეითავსა. რაც შეეხება უბრალო, რიგით კორუფციას, რომელიც უცხოელთა თვალს მოფარებულად მთავრობამ საკუთარი ინიციატივით ქვეყანაში მონოპოლიურ-კორუფციულ სისტემად აღაზევა, ეს საიდუმლო მორიდებულად, მაგრამ საკმაოდ „ელეგანტურად“ უკვე შინაურმა ოპოზიციამ „გააჟღერა“.

ეკონომიკის ექსპერტ გია ხუხაშვილს თუ დავუჯერებთ, საქართველოს ხელისუფლებამ ორიგინალობა ამ სფეროშიც (ისევე როგორც ბევრ სხვა საქმეში) გამოიჩინა და მსოფლიოში დამკვიდრებული ტრადიციისაგან განსხვავებით კორუფციის მეტად საინტერესო სისტემა შექმნა. ეს მოხდა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, როცა კორუფციაზე ქვეყანაში მონოპოლია გამოცხადდა. მთავრობამ იფიქრა, რა საჭიროა ამდენი წვრილმანი კორუფცია, როცა ელიტურ ჩინოვნიკობას თავისუფლად შეუძლია ამ საქმის გაძღოლაო და შემოსავლების ნაწილში ვერტიკალი კორუფციისგან მთლიანად გაწმინდა. მერე ისიც მოიფიქრა, მოდი, ფული მთლიანად ბიუჯეტში შევიტანოთ, მას გამჭვირვალე დავარქვათ, ფული კი იქიდან ვისაც რამდენი მოგვეპრიანება, იმდენი გამოვიტანოთ და ჰაიჰარად ვხარჯოთო. ასეც იქცევიან (ამის მაგალითად ზემოთ მოყვანილი ჩიკვაიძის ძმედებაც გამოდგება). არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, პრეზიდენტის ფონდის ბიუჯეტი 50 მილიონი იქნება თუ 100 მილიონი. რეალურად ხელისუფლებას აქვს ყველანაირი მექანიზმი, მთელი ბიუჯეტი ისე დახარჯოს, როგორც ამას საჭიროდ მიიჩნევს. ამას წინათ თბილისის მერს პრესაში აკრიტიკებდნენ, თავის ფონდიდან ცოლს პრემია მისცაო. ვერ გამიგია, რა გაუკვირდათ, აბა საკუთარი ფონდიდან უცხოთათვის უნდა მიეცა პრემიები და საკუთარი ცოლი უფულოდ დაეტოვებინა?!

ამიტომაც არიან ბიუჯეტის გაზრდასა და შესრულებაზე გადაგებულნი როგორც პრეზიდენტი, ისე მთელი ხელისუფლება, მას (ბიუჯეტს) ხომ საკუთარ საფულესავით იყენებენ(!). საქართველოში მოხდა ადრე არსებული ტოტალური კორუფციის ტრანსფორმირება, რომლის ნაყოფსაც ზოგი ბიუჯეტად აღიქვამს, ზოგი — მთავრობის საფულედ და ზოგიც — პრეზიდენტის პირად საფულედ. რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა კორუფცია, რომელიც საერთაშორისო სარეიტინგო უწყების ხელდასხმით აქაურ მალალჩინოსანთა ჯიბეებს „საზღვარგარეთიდან“ ამარაგებს.



**ოთარ ხუციშვილი**

ინფორმაცია

## რატომ მოიკლა თავი დეპარტამენტის თავმჯდომარემ?

**„გაზპრომის“ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოდგილემ, ტოპ-მენეჯერმა, სერგეი კლიუკმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

**ამის შესახებ რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან.**

**მათი ინფორმაციით, კლიუკი სახლიდან შაბათს დილით გავიდა და აღარ დაბრუნდა. იგი არც სატელეფონო ზარებს პასუხობდა, რის გამოც მისმა მეუღლემ მილიციაში განაცხადა.**

**„გაზპრომის“ მენეჯერის ცხედარი სამართალდამცავებმა 02:30 საათზე ელინსკის ქუჩაზე, მიწისქვეშა ავტოფარეხში მისსავე „რენჯ როვერის“ მარკის ავტომანქანაში იპოვეს.**

**გარდაცვლილს გვერდით პისტოლეტი ედო, რომელიც, არსებული ინფორმაციით, მას ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა აჩუქა.**

**თვითმკვლელობის მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.**

XO-ЭОБ-ЭБО

აქტუალური თემა



# ენა გადავირჩინოთ, ქართველებო!

**16 ოქტომბერს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში დაფუძნების შემდეგ პირველად შეიკრიბნენ „დედაენის საზოგადოების“ კომისიის წევრები.** ესენი არიან ფრიად ავტორიტეტული და მშობლიური ენის ჭეშმარიტად გულშემატკივარი ადამიანები — ზაზა გაჩეჩილაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, გია (გიორგი) ნიჟარაძე, მანანა გიგინეიშვილი, ლევან ჩიქვანაია, ლევან ღვინჯილია, ვახტანგ როდონაია, რისმაგ გორდეზიანი, ანზორ ბაბუხადია, სოსო ცისკარიშვილი, შუქია აფრიდონიძე, ავთანდილ არაბული, მარიკა ოძელი, თინათინ მარგალიტაძე, გუჯა მაკარიძე, თამაზ ებანოიძე და სხვები... იყო დიდი სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ ვუშველოთ ყველამ ერთად, როგორ გადავარჩინოთ გლობალიზაციის აგრერიგად მოძალების ჟამს ჩვენი ენა — ქართული, რამეთუ ასეთ პიროებში, სწორედ მცირე ერები ზარალდებიან ყველაზე მეტად.

კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს „**დედაენის დაცვის მანიფესტი**“, რომელშიც ვკითხულობთ:

> **გლობალიზაციის ხანაში ქართული ენა დადგა დამახინჯების, გადაგვარების, დაკნინებისა და განადგურების საფრთხის წინაშე. იგი წალეკა ბარბარიზმებმა, კალკამ, მიბაძვამ და ასევე სინტაქსურმა სიმახინჯეებმაც. ენა ერის ბურჯია და იგი შველას საჭიროებს.**
>
> **დადგა დრო, რომ ამოქმედდეს ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება, რომელიც იზრუნებს ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, მის გადასარჩენად და გასაძლიერებლად.**
>
> **მან უნდა მოიზიდოს ქართული ენის სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფილოლოგები), რომლებიც შეიმუშავებენ ქართული ენის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების კონცეფციას; შექმნიან და მუშაობაში ხელს შეუწყობენ სხვადასხვა მიმართულებით სათანადო ლექსიკისა თუ ტერმინოლოგიის დარგობრივ კვლევით ცენტრებს, გააღრმავებენ ქართული ენისა და სწორი მეტყველების საჯარო პროპაგანდას ტელევიზიის, რადიოსა თუ პრესის მეშვეობით, სათანადო დარგობრივი ლექსიკონების, სახელმძღვანელოების, სამახსოვრო ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის გამოქვეყნება-გავრცელების გზით.**
>
> **მან ხელი უნდა შეუწყოს საგანგებოდ დაფინანსებული პროგრამების ხორცშესხმას ქართული ენის მასწავლებლების მომზადება-გადამზადების მიზნით.**
>
> **სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ხანგრძლივვადიანი კომპლექსური გეგმა სახელმწიფო დონეზე, რათა დროულად გამოვფხიზლდეთ და დავიცვათ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.**
>
> **გადავარჩინოთ ენა და ენა გადაგვარჩენს ჩვენ.**

— ყველაფერი, თითქოს, კარგად არის ნათქვამი მანიფესტში, — მეუბნება სხდომის დამთავრების შემდეგ **ანზორ ბაბუხადია,** — თუმცა, ჩემი აზრით, პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას სათანადო დოკუმენტი, რომელიც დააკანონებს, რომ „დედაენის საზოგადოება“ არის ზეპარტიული, პოლიტიკურად მიუკერძოებელი, ზოგადეროვნული დაწესებულება და მისი რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები სახელმძღვანელო და დაუყოვნებლივ შესასრულებელია ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის, აგრეთვე არასამთავრობო და კერძო იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩასატარებელი უზარმაზარი სამუშაო ფუჭი გახდება, ანუ ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწევთ.

სწორი ბრძანებაა, ბატონო ანზორ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი თანდათან მოგვარდება, შენს თვალსაზრისს დავამატებდი: აუცილებელია, რომ ხელისუფლება ჩაერთოს ამ საშვილიშვილო საქმეში (როგორც ვიცით, იმ „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს, ასეთ საქვეყნო საკითხებს, როგორც წესი, მთავრობის თავმჯდომარე ედგა სათავეში), რადგან დედაენაა გადასარჩენი, რომლის გადარჩენამაც მთლიანად ჩვენი ერი უნდა გადაარჩინოს!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

მურად ალაშვილის ფოტო

◉ პატივმიგება

# „ჩემს წინაშეა კავკასიონი"

## კავკასიის ბრძოლების 67 წლისთავი

დიდი პოეტის ეს სიტყვები გამახსენდა, როდესაც გასულ შაბათს გამარჯვების პარკში მივედი.

სწორედ კავკასიონის მთები იყო ალმართული იმ ხალხის თვალწინ, ვინც უცნობი ჯარისკაცის მემორიალთან შეიკრიბა. დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მათი ახლობლები, ასოციაცია „კავკასიის ვეტერანების" დამფუძნებლები და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდნენ კავკასიისთვის ბრძოლებში გამარჯვების 67 წლის იუბილეს.

როგორც იმ პერიოდის ცენტრალური გაზეთები წერდნენ „კავკასიისთვის ბრძოლების შედეგს უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თავგანწირულმა ბრძოლებმა დამონებისა და განადგურებისაგან იხსნეს კავკასიის ხალხები. მტერს ხელში არ ჩაუვარდა ნავთობისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული. ფაშისტებს გადაეკეტათ გზა ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისკენ, ახლო აღმოსავლეთისკენ..."

არ შემიძლია არ მოვიყვანო 30 წლის წინათ დაბეჭდილი ერთ-ერთი სამხედრო-ილუსტრირებული გამოცემის ციტირება: „ბრძოლა კავკასიისთვის, რომელიც 1942 წლის ივლისიდან, 1943 წლის ოქტომბრამდე გრძელდებოდა, ნათელ ფურცლად დარჩა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. ის მჭიდროდაა დაკავშირებული სტალინგრადის ეპოპეასთან და შეადგენს იმ გადამწყვეტი ბრძოლების დიდი ჯაჭვის უწყვეტ რგოლს, რომელიც საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის, სამხრეთის ფრონტზე მიმდინარეობდა. აქ საბრძოლო წრთობა გაიარა და მაღალი ორგანიზაციული უნარი გამოავლინა მრავალმა ცნობილმა სამხედრო მეთაურმა. მათ შორის 180-ე არმიის სარდალმა კონსტანტინე ლესელიძემ..."

კონსტანტინე ლესელიძე იყო ის პიროვნება, რომლითაც ამაყობდა მთელი საქართველო და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, მისი სახელი გადაარქვა „ლესელიძის ქუჩა".

სწორედ კავკასიონზე გადაუჭრეს გზა ნაქებ გერმანულ დივიზია „ედელვაისს" ქართული ეროვნული დივიზიის მებრძოლებმა. ვლადიმერ კანკავას, ალექსანდრე პირმისაშვილს, ვლადიმერ ლურსმანაშვილს და ნიკოლოზ გოგიჩაიშვილს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. 1943 წლის 28 იანვარს უმცროსმა ლეიტენანტმა ვასილ პეტრიაშვილმა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა გაიმეორა და არა მარტო მრავალი მებრძოლის სიცოცხლე იხსნა, შეტევისკენ გაუხსნა გზა თავის პოლკს.

გარდასული ბრძოლები კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრებილ საზოგადოებას ომის, შრომისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ელვერ კუპატაძემ.

კავკასიის დამცველთა მიმართ სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პოლკოვნიკმა მოსე მდინარაძემ. თბილისის სპორტის აკადემიის პროფესორმა შოთა ბუაძემ, ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენელმა მერი ჭილაშვილმა და ცნობილმა მუშამ აპოლონ ჩიჩახაშვილმა.

ვეტერანებს მიმართა პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა, რომელმაც გაიხსენა უცნობის ჯარისკაცის ნეშტის გადმოსვენების დროს მომხდარი ერთი მეტად გულისშემძვრელი ეპიზოდი.



ქუთაისში პროცესიასთან მივიდა სამამულო ომში დაკარგული ერთ-ერთი ჯარისკაცის დედა. „შეიძლება ეს ჯარისკაცი ჩემი შვილი იყოსო", ამბობდა ქალბატონი და დატირების ნებას ითხოვდა.

მემორიალთან ყოველ წელს მოდის ლეგენდარული კაპიტნის ბუხაიძის შვილი, ქალბატონი დარეჯან ბუხაიძე. ირაკლი აბაშიძის ლექსი, რომელიც გმირ მებრძოლს ეძღვნება, მეხუთეკლასელმა ლუკა ყუფუნიამ წაიკითხა.

ემოციური იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის დავით შემოქმედელის გამოსვლა. მისმა სიტყვებმა: ქართველი მაშინ კვდება, როცა ხმალს ქარქაშში ჩააგებსო, მართლაც რომ შეძრა საზოგადოება.

მიუხედავად საპატიო ასაკისა, ვეტერანები მზად არიან ისევ იბრძოლონ. იბრძოლონ, ოღონდ ახლა უკვე საკუთარი უფლებების დასაცავად. კიდევ ერთხელ გაისმა ხელისუფლების მიერ ქუთაისის მემორიალის ბარბაროსული აფეთქების დამგმობი სიტყვები. იყო საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც ვეტერანებს შეექმნათ სხვადასხვა შეღავათის გაუქმების შემდეგ.

მიუხედავად ხელისუფლების ცინიკური დამოკიდებულებისა ვეტერანთა მიმართ, დიდი მადლობა თავდაცვის სამინისტროს, რომელმაც არ დაივიწყა ეს დღე და გამარჯვების პარკში სარიტუალო ასეულის ჯარისკაცები და სასულე ორკესტრი გამოგზავნა, რითაც საზეიმო ელფერი შესძინა ამ ღირსშესანიშნავ დღეს — დღეს, რომელიც ნამდვილად ეკუთვნით ჩვენს გმირ, მოხუც ჯარისკაცებს.

**მურად ალაშვილი,**
**გია გაბრიჭიძე.**

◉ ჩვენი კარაბადინი

## დამალე, რომ ბედნიერი ხარ



**ავსტრალიელმა მეცნიერებმა ამოხსნეს ოჯახური ბედნიერებისა და მყარი ცოლქმრული ურთიერთობის საიდუმლო: ქმარმა არ უნდა აჩვენოს, რომ „ის ქორწინების გამო მეტ კმაყოფილებას იძენს, ვიდრე ცოლი".**

„ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ მამაკაცები, თუ ისინი გულღიად უჩვენებენ თავიანთ მეორე ნახევრებს, რომ უკიდურესად ბედნიერები არიან ქორწინებით, მათ შეუძლიათ დაიწყონ მზადება განქორწინებისთვის", — ასეთია მკვლევარების დასკვნა.

დადგენილია, რომ რაც მეტია სხვაობა ცოლქმარს შორის კმაყოფილების დონესთან დაკავშირებით, რასაც ისინი ღებულობენ ერთობლივი ცხოვრებისგან, მით უფრო მნიშვნელოვანია მათი ოჯახის კრახის საშიშროება.

## საჭიროა თუ არა პენსიაზე გასვლის ასაკის მომატება?

**საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ასეთი სურათი აჩვენა:**

● დიახ, წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ შრომისუნარიანი მოსახლეობა ვერ გამოკვებავს ხანდაზმულებს — 12 %.

● არ ვარ დარწმუნებული, იქნებ ჯობდეს გამოინახოს ამ პრობლემის გადაჭრის სხვა საშუალებანი — 17%.

● არა. ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა ისეთია, რომ 60 წლისთვის ხალხს უკვე აღარ შეუძლია მუშაობა — 68%.

● ამაზე არ მიფიქრია — 3%.

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 759 კაცმა მიიღო.**

## არის შანსი – ტრამეტა!

**გავიგე, რომ ექსტრაქტი „ტრამეტა" ავლენს ეფექტიანობას სიმსივნეებთან ბრძოლაში! სად შეიძლება მისი შეძენა? ძალიან მჭირდება.**

**გ.ბ. კასპი**

ექსტრაქტ „ტრამეტას" ღებულობენ:

● კეთილთვისებიან ახალ წარმონაქმნთა: წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, მასტოპათიის, მიომის, კისტას, პოლიპების თერაპიისა და ა.შ. დროს;

● ავთვისებიანი სიმსივნეების თერაპიის დროს.

ტრამეტის ნივთიერებანი შეიცნობენ და აჩერებენ სიმსივნის უჯრედების ზრდას, ბლოკავენ მეტასტაზირების პროცესს.

ქიმიოთერაპია გაცილებით იოლად გადააქვთ — აღარაა პირღებინება, გულისრევა, თმის ცვენა, დეპრესია.

8-(495ძ — 785-51-18.

## ფეხსაცმელი არა ყოველი დღისთვის

**ფლოსტების მუდმივმა ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ტკივილები ტერფში, კოჭში და წვივში, მიაჩნიათ ამერიკელ ექიმებს.**



„რაც უფრო მაგრად აწვება ფეხსაცმელი ტერფის ზედაპირს, მით უკეთესია თქვენი ფეხისთვის. თუ ის თავისუფლად არის ზემოდან, ფეხის კუნთებს მეტი დატვირთვა ადგება", — განმარტავენ მეცნიერები. ხალხმა ძველებურად შეიძლება ატაროს ფლოსტები პლაჟზე და აუზში. ეს მათ ფეხებს მისცემს დასვენების საშუალებას, მაგრამ ფლოსტების დიდი ხნით ტარებამ შეიძლება პრობლემები შეგიქმნათ.

## ნიკრისის ქარია? აუცილებელია მკურნალობა

**მაწუხებს ნიკრისის ქარი (პოდაგრა). გამომიწერეს მკურნალობა. მე კი ვფიქრობ — რად მოვიწამლო თავი წამლებით? ნიკრისის ქარებით ხალხი დიდხანს ცოცხლობს და, ვითომ არაფერია. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**ირინა, დედოფლისწყარო**

გვიპასუხებს ექიმი-რევმატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი თვაური:

— თუ პიროვნება, ვისაც აწუხებს ნიკრისის ქარი, არ იმკურნალებს და მკაცრად არ შეიზღუდავს თავს კვებაში, შეიძლება უბრალოდ ინვალიდი გახდეს. მტანჯველი შეტევები სულ უფრო და უფრო ხშირი და ხანგრძლივი გახდება. ფეხების სისხლძარღვებს გარდა ანთებით პროცესში შეიძლება ჩაერთონ ძვლებისა და იდაყვების სისხლძარღვები, რომლებიც თანდათან დეფორმირებას დაიწყებენ.

და უფრო სერიოზული პრობლემებიც აღარ დაიგვიანებენ. თვითდინებაზე მიშვებულმა ავადმყოფობამ შეიძლება თირკმლების ქრონიკულ უკმარისობამდე, მაღალ არტერიულ წნევამდე, თირკმელების და გულის სისხლძარღვთა დაზიანებამდე მიგვიყვანოს. აი რატომაა ნიკრისის ქარის მკურნალობის დროული დაწყება.

## დიაგნოზი – წყურვილი

**მუდამ მაწუხებს წყურვილი. რასთან უნდა იყოს დამოკიდებული?**

**მერი, წყალტუბო**

გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი რეზო ცუცქირიძე:

— მუდმივი წყურვილი შეიძლება გამოწვეული იყოს ჰორმონების ბალანსის დარღვევით, რაც აწესრიგებს წყლისა და მარილის ცვლას. მაგალითად, შაქრის დიაბეტის დროს შაქრის სიჭარბე სისხლში მკვეთრად ზრდის შარდის გამოყოფას. ამ დროს ადამიანი ბევრ წყალს სვამს, მაგრამ წყურვილი მაინც აწუხებს.

ფარისებრი ჯირკვლების გაზრდილი ფუნქციის დროსაც



დამახასიათებელია არაჩვეულებრივი წყურვილი. მაგრამ ამ დროს არის სხვა ნიშნებიც, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოვახდინოთ სნეულების დიაგნოსტირება: იგრძნობა ტკივილები ძვლებში, გაწუხებს სწრაფი დაღლილობა, კუნთების სისუსტე და მკვეთრი გახდომა. ძვლებიდან კალციუმის გამოწურვა შარდს თეთრ ფერს ანიჭებს. ეს სერიოზული დაავადებაა, რაც ენდოკრინოლოგთან მკურნალობას საჭიროებს.

მკითხველი კურნავს მკითხველს

## ყურძნის ნიღაბი

**მაქვს ცხიმიანი კანი. ცხვირი ხშირად მიპრიალდება,კანის ფორები მიფართოვდება. მაგრამ შემოდგომაზე, როგორც წესი, გამოვიყურები გაცილებით უკეთესად, ვიდრე წლის სხვა დროს. ამაში ყურძენი მეხმარება. ეს ტკბილი ნაყოფი საუცხოო საშუალებაა საოჯახო ნიღბებისთვის. აი, ჩემი საყვარელი რეცეპტები:**

● წითელი ყურძნის მტევანი აურიეთ არაჟანში და მოამზადეთ სქელი ნიღაბი. ნარევი წაისვით სახეზე, გააჩერეთ 20 წუთი და მოიხსენით ნიღაბი ცივ რძეში დასველებული ტამპონით. ასეთი ნიღაბი კვებავს, ანახლებს და ასუფთავებს კანს, თანაც ავიწროვებს გაფართოებულ ფორებს.

● ცხიმიანი კანისთვის შეიძლება მოვამზადოთ ნიღაბი: ავთქვიფოთ კვერცხის ცილა მცენარის ზეთთან (0,5 ჩაის კოვზიძ და ყურძნის ორ კოვზ წვენთან. ასეთი ნიღაბი ჭიმავს ფორებს, ასუფთავებს და ოდნავ ათეთრებს კანს.

**თეონა ბერძენიშვილი, ახმეტა**

## ნიორი გაცივების წინააღმდეგ

**შემოდგომის წვიმიან და ცივ დღეებში ძალიან ადვილია გაცივება. ადრე მეც ყოველ შემოდგომაზე ვწვებოდი ხოლმე ლოგინში ხველებით, სურდოთი და ტემპერატურით. ახლა კი აცივება და წვიმები სულაც არ მაშინებს. დეიდამ — ის ხალხური მედიცინი კარგი მცოდნეა — მირჩია გაცივებას ვუმკურნალო ნივრით. ადრეც ვიცოდი, რომ ამ მცენარეს აქვს სამკურნალო თვისებები, მაგრამ არ ველოდი, თუ ეფექტი ასეთი სწრაფი იქნებოდა. მინდა გაგიზიაროთ დეიდაჩემის რეცეპტები.**

● გაცივების, ხველებისა და ყელში ტკივილების დროს დაგეხმარებათ ნივრის ნახარში. ის რომ მოვამზადოთ, საჭიროა ემალის ქვაბში ჩავასხათ ჭიქანახევარი წყალი და, როცა ის წამოდუღდება, დავუმატოთ ნახევარი ჩაის კოვზი დაჭრილი ნიორი. ვადუღოთ 5 წუთი სუსტ ცეცხლზე, შემდეგ გადმოვდგათ, დავახუროთ სახურავი და გავაჩეროთ 45 წუთის განმავლობაში. ნახარში გავწუროთ და ნახევარ-ნახევარ ჭიქად ვსვათ დღეში ერთხელ.



● თუ სურდო გაქვთ, ისუნთქეთ ნივრის ნაყენით. დანაყეთ ნივრის რამდენიმე კბილი, ჩადეთ პატარა სქელძირიან ქვაბში, დაასხით ერთი ჭიქა წყალი და გააჩერეთ 20 წუთი სუსტ ცეცხლზე. შემდეგ დაუმატეთ ოდნავ შეცივებული 1 ჩაის კოვზი ჩაი, ამდენივე ლიმნის წვენი და აურიეთ. ისუნთქეთ ორთქლი, სანამ ნაყენი არ გაცივდება.

**თინა გვარამაძე, სამტრედია**

## ჩვენი ბიბლიოთეკა

უიკამ მიაბრუნა ბრიდა, კოცონის წინ დააყენა და ახლა იმ ერთ-ერთ მომდევნოს მიადგა, ხელდასხმას რომ ელოდა. ცეცხლი ბრიდას ენერგია-ამანს ატანდა, რათა სრულად გამოვლენილიყო ამ ყმაწვილქალში. ამწუთას ბრიდაც უთუოდ მზის ამოსვლას ადევნებს თვალს, რომელი მზეც ამიერიდან დარჩენილ დღეებს გაუნათებს.

– ახლა აქედან უნდა წახვიდე, – უთხრა მოძღვარმა, როცა მზე ცისპირს ამოსცდა.

– ჩემი მადლისა აღარ მეშინია, – მიუგო ბრიდამ. – ახლა უკვე ვიცი, სადაც უნდა წავიდე. ვიცი, რაც უნდა ვქნა. ვიცი, რომ ვიღაც შემეწევა, მიხვაიშნებს. ოდესღაც აქ უკვე ვიყავი. იქ ადამიანები ცეკვავდნენ, იქ მთვარის ტრადიციის იდუმალი ტაძარი იყო აღმართული.

მოძღვარს ერთბაშად არ გაუცია პასუხი. მიუბრუნდა, მარჯვენა ხელით რაღაც ნიშანი მოხაზა და მერეღა თქვა:

– დასტურდაცემული ხარ. მშვიდობიანი გზით გევლოს მშვიდობიან დღეებში. და ბრძოლის გზას შესდგომოდე ომის ჟამს. არცროდის ერთმანეთში არ აგრეოდეს მშვიდობისა და ომის დღეები.

მოძღვრის სილუეტი თანდათან ჰაერში დადნა, კვალდაკვალ მიჰყვა უდაბნოც, წამერთ გაქრა უდაბნოს შუაგულში წამომართული არძან-კაჭარიც. დარჩა მარტო მზე, მაგრამ ისიც ნელი-ნელ ცას ერწყმოდა. მალე სულ ჩამობნელდა, და მზე მაშინ ცაში აგიზგიზებულ კოცონს დაემსგავსა.

Yმაწვილქალი უკან ბრუნდებოდა. და ყველაფერს იხსენებდა, რაც იყო – ნების ნებზე ცემას, ცეკვას, ტრანსს. გაიხსენა, როგორ განიძარცვა სამოსელი ყველას თვალწინ, და ახლა შეცბა უცებ. მაგრამ გაიხსენა მოძღვართან თავისი შეხვედრაც. შეეცადა სირცხვილის, შიშის, ჭმუნვის დათრგუნვას – ამის შემდეგ მუდმივ თანამგზავრებად რომ ექცევიან. ასე რომ უნდა შეეჩვიოს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, სხვა გზა არა აქვს.

როს უიკას ბრძანებით სამი ხელდასხმული ქალთაგან შექმნილი ნახევარწრის შუაგულში მოექცნენ, ქალებმა ხელი ხელს ჩაჰკიდეს და წრე შეკრეს.

და უცნაური რამ საგალობელი წამოიწყეს, რომლის მოძახილის თქმასაც კაციშვილი ვერ ბედავდა. ტუჩები ყველას მოკუმული ჰქონდა, რის გამოც უცხოგვარად მორაკრაკე ხმა გაუგონარ რხევას წარმოშობდა, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა და სულ უფრო გამყივანი და დაფეთებული ფრინველის ყივილის მსგავსი ხდებოდა. მომავალში ბრიდაც ისწავლის ამნაირ ყივილს. კიდევ ძალიან ბევრ რასმე ისწავლის, სანამ მოძღვარი არ დადგება. და მაშინ თავად აზიარებს სხვათ მთვარის ტრადიციას.

მაგრამ ყოველივეს დადგომას თავისი ვადა აქვს, თავისი სათანადო დრო. ხოლო დრო – რამდენიც კია სამყაროში – ახლა, როცა იგი კვლავ შეხვდა თავის ბედ-იღბალს, როცა ის თავისი გაიხადა, ვინც ხელი უნდა წააშველოს და უხვაიშნოს, სულ მთლად ამ ახალხელდასხმულ ყმაწვილქალს ეკუთვნოდა, უკვე მარადისობის მბრძანებელს.

და შეამჩნია, რომ ირგვლივ თუ რამ იყო, ყველაფერს უცნაური რამ ნათება მოსდებოდა, ამასთანავე თითოეულ საგანს თავისი ფერი ჰქონდა, და ცოტა დაიბნა. რასაკვირველია, ბევრად აჯობებდა, თუ სამყარო ისევ გაადრინდელდებოდა.

ჯადოქარ-კუდიანთ გალობა შეწყვიტეს, დადუმდნენ.

– მთვარის ზიარება აღსრულებულია, – გამოაცხადა უიკამ. – ამიერიდან სოფელ-ქვეყანა თქვენთვის საყანედ იქცევა, და უნდა იზრუნოთ, რომ უხვი მოსავალი მოიყვანოთ.

– რაღაც უცნაური, უჩვეულო რამ შეგრძნება მაქვს, – თქვა ერთ-ერთმა ხელდასხმულმა. – გარშემო თითქოს ყველაფერი ცოტა ფოკუსში ვერ არის...

– ეგ იმიტომ, რომ სუყოველი ადამიანის გარშემო ენერგეტიკული ველის, ანუ, როგორც ჩვენ ვეძახით, აურის გარჩევის უნარი შეგეძინათ. ეგ თქვენი პირველი გადადგმული ნაბიჯია დიად საიდუმლოთა გზაზე. შეგრძნება მალე გაგივლით, მერმე უკვე იმასაც გასწავლით, როგორ უნდა შეიძინოთ ეგ უნარი თქვენი სურვილისამებრ.

მან ეგრევე მოიქნია ხელი, და სატევარი ისეთი ძალით სტყორცნა წრის შუაგულს, რომ მიწაში ღრმად ჩასობილი ის კიდევ კარგა ხანს ძიგძიგებდა.

– ცერემონია დამთავრებულია.

Ბრიდა ლორენსთან მივიდა, რომელიც თვალებგაბრწყინებული შეეგება. ყმაწვილქალმა იცოდა, რომ თვალებს სიამაყე და სიყვარული აბრწყინებენ. ჯერეთ კიდევ დღემოუჭმელ შეყვარებულთ კი ერთად ზრდაც შეეძლოთ და ახალი ცხოვრების ერთად შექმნაც, თავიანთ თვალწინ გადაშლილი სრულიად სამყაროს აღმოჩენაც და იმ ადამიანთა დალოდებაც, ვისაც მცირეოდენი შემართება მაინც ეპოვება.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181, 184-192.

მაგრამ იყო კიდევ ერთი კაცი. მოძღვარს რომ ელაპარაკებოდა, ბრიდამ უკვე მიიტანა თავისი არჩევანი. რამეთუ ამ კაცს უთუოდ ეცოდინებოდა, მძიმე ვითარებაში როგორ უნდა ჩაეჭიდა ხელი თავისი გულის მურაზისთვის და როგორ უნდა გაეტარებინა სარწმუნოების ღამის წყვდიადის წიაღ. ესეც ისწავლიდა იმის სიყვარულს და ის სიყვარული ისეთივე უკიდეგანო იქნებოდა, რაოდენ უკიდეგანოც აწინდელი პატივისცემა იყო იმის მიმართ. დღესაქამომდე ორთავემ ერთი და იგივე შემეცნების გზა გამოვლო, და დიახაც ამ კაცის წყალობით აღმოჩნდა ბრიდა აქ. ამ კაცთან ერთად ოდესმე მზის ტრადიციის სიბრძნესაც ჩასწვდება.

ახლა მან იცოდა, რომ ჯადოქარი გახდა, კუდიანი. იგი მრავალი საუკუნე სწავლობდა გრძნეულობა-მისნობის ხელოვნებას და აი ახლა უბრუნდებოდა თავის ადგილს. და ამჟამინდელი საღამოდან მოკიდებული არცრა სიბრძნეზე უფრორე მნიშვნელოვანი არა აქვს რა ცხოვრებაში და არც ექნება.




– წავედით, – უთხრა მან თვალებგაბრწყინებულ ლორენსს, რომელიც ცათაფრენაშემდგარი ათვალიერებდა თავის წინ მდგომარე შავად მოსილ ყმაწვილქალს, თუმცა ბრიდა დარწმუნებული იყო, მოგვი ცისფერლაბადიანს მხედავსო.

მან თავისტანსაცმლიანი ზურგხალთა გაუწოდა ლორენსს.

– წაიღე, წადი. გზად რამე მანქანა შეგხვდება და გაჰყევი. მე ზოგ ვინმესთან ჯერეთ კიდევ სალაპარაკო მაქვს.

ლორენსმა ზურგხალთა ჩამოართვა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადადგა ბილიკისკენ, რომელიც ტყეზე გადიოდა. სიღოდა-განცხრომა გასრულდა, და ისინი კვლავ უწინდელ სოფელ-ქვეყანაში აღმოჩნდნენ, სადაც ძველებურად ფუსფუსებდნენ თავიანთი სიყვარულით, ეჭვიანობითა და მოხვეჭის წყურვილით შეპყრობილი ადამიანები.

დაბრუნდა უწინდელი შიშიც. მეტისმეტად ხატკეთილი და არცვისი მსგავსი არ იყო ამ უნივერსიტეტელი ყმაწვილკაცის გულის სწორი.

– არ ვიცი, ღმერთი არის თუ არა, – წარმოთქვა მან თითქოსდა იმ ხეთა გასაგონად, გარშემო რომ ეშრიალებოდნენ. – არა, ახლა ამაზე ფიქრი ნამდვილად არ შემიძლია, რადგან მეც ამოუცნობისა და მიუწვდომლის წინაშე დავდექი.

იგი თავადვე გრძნობდა, რომ რაღაც სხვანაირად ლაპარაკობდა – ადრე არასოდეს ასე გულდაჯერებულს არ ელაპარაკა. და ეჩვენებოდა, ხეებიც მისმენენო.

„აქ ადამიანები იქნებ ვერ მიგებენ, იქნებ სულაც არც არაფრად არ აგდებენ ჩემს ძალისხმევას, მაგრამ ვიცი, რომ მაგათზე ნაკლები შემართება არა მაქვს. რამეთუ ღმერთს ვეძებ, თუმცაღა არკი მწამს. არადა, თუ არსებობს, ის უცილოდ ვაჟკაცთა ღმერთია“.

თვალები ჯერეთ ისევ მარაგიან ცას ალაპყრო. ღმერთი უცილოდ ვაჟკაცთა ღმერთია. და არც ამას გაუჭირდება იმისი შეცნობა, რამეთუ ვაჟკაცნი ისინი არიან, ვინც გულში შიშგაჩენილი წყვეტს გადასაწყვეტს, ვისაც თავის მიერ არჩეული გზის სუყოველ ნაბიჯზე დემონები სძლევენ. ვისაც მტანჯველი ფიქრი არ ასვენებს ყოველივე იმის გამო, რასაც იქმს და თავის თავს ეკითხება, სწორედ ვიქცევი თუ არაო.

მაგრამ მაინც მოქმედებენ. იმიტომ მოქმედებენ, რომ სასწაულნი ამათაც ისევე სჯერათ, როგორაც იმ კუდიან-ჯადოქართ, წუხანდელ ღამეს კოცონის გარშემო ბუქნაში რომ ამოდიოდნენ.

იქნებ ღმერთს ჩემთან დაბრუნება ამ ქალის წიაღ უნდა, ვინც ახლა სხვასთან მიდისო, ფიქრობდა ლორენსი. უკეთუ ეს ქალი სამუდამოდ წავიდა, სამუდამოდ წავა ღმერთიც. ლორენსს ესმოდა, რომ ახლა შანსი ჰქონდა, შესაძლებლობა, ვინაიდან, როგორც ახსოვდა, ღმერთში შთანთქმა სიყვარულის წიაღ ყოვლის უმჯობესია. და ბრიდას დაბრუნების ამ შანსის, ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ უნდოდა.

ფიქრში წასულმა ერთი ღრმად ჩაისუნთქა, ტყის ცივი, კამკამა ჰაერი შეიგრძნო, და თავის თავს ვაჟიბედურად შეჰფიცა, არცვის ჩემგან გაწბილებული ვაჟკაცთა ღმერთი არ ენახოსო.

ბრიდა იქ მიდიოდა, სადაც მოგვი იყო, და ისინი კოცონის შორიახლო შეხვდნენ ერთმანეთს. ლაპარაკი ჭირდა.

დუმილი პირველმა მაინც ყმაწვილქალმა დაარღვია.

– ჩვენ ერთი გზა გვაქვს.

მან თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– მაშ, მოდი ბოლომდე ერთად ვიაროთ.

– მერედა, შენ რომ არ გიყვარვარ, – წარმოთქვა მოგვმა.

– მიყვარხარ, უბრალოდ ჯერ არ ვიცნობ ამ სიყვარულს, მაგრამ მიყვარხარ. შენ ჩემი სხვა ნაწილი ხარ.

მოგვის მზერა კი სადღაც იდუმალ სიშორეში დაწოწიალობდა. ის იცნობდა სიყვარულის ტრადიციას და ახსოვდა, რომ ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი, რომელსაც ეს ტრადიცია იძლევა, სიყვარულია, რაც ხილულიდან უხილავში გადებული ერთადერთი ხიდია, რაც ერთადერთი ენაა, რომელზედაც ყველა იმ გაკვეთილის თარგმნა შეიძლება, სოფელ-ქვეყანა ყოველდღიურად რომ აძლევს კაცობრიულ მოდგმას.

– მე არ წავალ, – თქვა ყმაწვილქალმა. – შენთან დავრჩები.

– შენ შენი შეყვარებული გელოდება, – მიუგო მოგვმა.– დამილოცნიხართ.

ბრიდა გაოგნებული უცქეროდა.

– არცვის არ ძალუძს იმ აისის, იმ მზის ამოსვლის მითვისება, ერთად რომ ვიხილეთ მაშინ, – განაგრძობდა მოგვი. – არცვის არ ძალუძს იმ საღამოს დაპატრონება, ოდეს წვიმის წვეთები ფანჯრის მინას აკაკუნებენ, ვერც იმ მყუდროებას ჩაიგდებს ვინმე ხელთ, აკვანში ჩაკრული ჩვილი ყრმა რომ წარმოშობს თავის გარშემო, და ვერც კიდევ იმ ჯადოსნურ წამს, ოდეს ტალღები კლდეებს ელეწებიან. არცვის არ ძალუძს მთელი იმ მშვენიერების დაუფლება, რაც დედამიწის ზურგზეა, – ამ მშვენიერების მარტოოდენ შეცნობა და სიყვარულია შესაძლებელი. ღმერთი ასეთ დროს გვენახვება ადამიანთ.

ჩვენ არ გვეკუთვნის არც მზე, არც საღამო, არც ტალღები და არც თვით ღმრთის ხატიც კი, იმიტომ რომ ჩვენ ჩვენი თავის დაუფლებაც არ შეგვიძლია.

მოგვმა თითებშუაყვავილმოქცეული ხელი გაუწოდა ბრიდას.

– ერთმანეთი როს გავიცანით – მე კი მგონია, რომ სულ მუდამ გიცნობდი, რადგან არ მახსოვს, როგორი იყო ეს სოფელ-ქვეყანა შენს გამოჩენამდე, – ღამის წყვდიადი გიჩვენე, რა არი დამენახა, საკუთარ ზღვარს გადააბიჯებდი თუ არა. მაშინ უკვე ვიცოდი, რომ ჩემი სხვა ნაწილის წინაშე ვიდექი, და ეს სხვა ნაწილი მასწავლიდა ყოველსავე, რისი ცოდნაც მეჭირვება, რამეთუ ღმერთმა ოდესღაც ამის გულისთვის გაყო კაცი და ქალი ერთმანეთისგან.

ბრიდა შეეხო ყვავილს, რომელიც მრავალი თვის განმავლობაში პირველად მოიხილა. ირგვლივ ღანუხობა – გაზაფხულის დრო სუნთქავდა.

– ადამიანები იმიტომ სძღვნიან ყვავილთ ერთმანეთს, რაკი ყვავილში სიყვარულის ჭეშმარიტი აზრია. ვინც ყვავილის დაუფლებას შეეცდება, მალევე დაინახავს, როგორ დაჭკნება ის ყვავილი და დაკარგავს სილამაზეს. ხოლო, ვინც სადმე მდელოზე თუ მინდორში თვალმოკრული ბილილის მარტო მზერით ტკბება, ის სამუდამოდ მოიხვეჭს იმ ბილილას. რამეთუ ყვავილი შეხამებული და შეხმატკბილებულია საღამოსთან, დაისთან, სველი მიწის სუნთან, ცისპირზე აცურებულ ღრუბლებთან.

ბრიდა ყვავილს დასცქეროდა. მოგვმა გამოართვა და კვალად ტყეს დაუბრუნა.

ყმაწვილქალს თვალები ცრემლით აევსო. ეამაყებოდა თავისი სხვა ნაწილი.

– ეს ტყემ მასწავლა. ტყემ მასწავლა ისიც, რომ შენ არცროდის ჩემი არ გახდები, და სწორედ ამიტომ სა-

მუდამოდ მოგინაგრებ. შენ იმედი იყავი ჩემთვის ჩემი მარტოობის ჟამს, სევდას მგვრიდი დაეჭვების წუთებში, ხოლო ფრთებს მასხამდი, როცა რწმენა მიბრუნდებოდა. და რაკი ვგრძნობდი, რომ ოდესმე აუცილებლად შეგხვდებოდი ჩემს სხვა ნაწილს, მზის ტრადიციის შესწავლაზე გადავდე თავი. და მხოლოდ იმის წყალობით, რომ ეჭვიც არ მეპარებოდა შენს არსებობაში, თავადაც განვაგრძობდი არსებობას.

ბრიდა უკვე ველარ იკავებდა ცრემლს.

– და როს მოხვედი, მაშინ მივხვდი ყოველივე ამას. მოხვედი და დამხსენი ტყვეობას, რაშიც თავადვე ჩავიგდე თავი, მოხვედი, რათა გეთქვა, თავისუფალი ხარო, თავისუფალს კი შემეძლო, რომ დავბრუნებოდი სოფელ-ქვეყანას და იმ ყოველსავე, რაც რამ ამ სოფელ-ქვეყანაშია. რის შეტყობაც მეკუთვნოდა, შევიტყვე, რაც ჯერ არს, ისიც უკლებლივ გავიგე, და მიყვარხარ ყველა ქალზე უფრო მეტად, რომელიც კი ოდესმე მცნობია, იმაზე მეტადაც, ვისი გულისთვისაც სწორ გზას ავცდი და ჩემდა უნებურად ტყეში აღმოვჩნდი. მუდამ გულის ფიცარზე მეწერება, რომ სიყვარული უწინარესად თავისუფლებაა. აი გაკვეთილი, რომელიც ბევრად უფრო გვიან ავითვისე, ვიდრე საჭირო იყო. ამის გამო თავადვე მოვიკვეთე და გავიძევე თავი. შენ განმათავისუფლებლად მომევლინე.

კოცონი ნელ-ნელა ქრებოდა, ტკაცატკუცით ამოსდიოდა სული, და მოწვეული ხალხი, ვინც დანარჩენებზე გვიან იყო მოსული, ერთმანეთს ემშვიდობებოდა. მაგრამ ბრიდა ვერაფერ ამას ვერ ამჩნევდა, სანამ ვიღაცამ შორიდან სახელი არ დაუძახა.

–ის გეძახის, გოგონი, – რომელიღაც ძველი ფილმიდან გახსენებული ფრაზა თქვა მოგვმა. აშკარად მხიარულ გუნებაზე იყო – მზის ტრადიციის კიდევ ერთი და ძალზე მნიშვნელოვანი ფურცელი გადაუშალა თავისმა სხვა ნაწილმა. და გრძნობდა, რომ გვერდით ედგა თავისი მოძღვარიც, რომელსაც ახალი ხელდასხმისთვის აერჩია ამჟამინდელი ღამე და იმიტომ მოსულიყო.

– მთელი ჩემი სიცოცხლე მემახსოვრები და ვერც შენ დამივიწყებ, შენც გემახსოვრები. ზუსტად ისევე, როგორც ვერ დავივიწყებთ და სამარის კარამდე ჩვენთან დარჩებიან ეს დამდეგი საღამო, ფანჯრის მინებზე აწკაპუნებული წვიმის წვეთები და ის ყოველივე, რაც ჩვენ გვეკუთვნის სამუდამოდ იმის გამო, რომ ვერცრას ვერც დავეუფლებით და ვერც დავეპატრონებით.

– ბრიდა! – კვლავ გამოსძახა შორიდან ლორენსმა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – თქვა მოგვმა. – ცრემლები მოიწმინდე. ანდა უთხარი, კოცონის ბოლმა მომადინა-თქო.

არ დამივიწყო.

თუმცა იცოდა, რომ ამის უთქმელობაც შეეძლო, მაგრამ რატომღაც მაინც თქვა.

შიკამ შეამჩნია, რომ სამ სტუმარს მინდვრიანზე ცარიელი ღვინის ბოთლები დარჩენოდა. აუცილებლად დაურეკავს და ეტყვის, რომ წაიღონ.

– მალე კოცონი ჩაიწვის და ჩაქრება, – თქვა მან.

მოგვი ისევ მდუმარედ იდგა და თვალს არ აშორებდა სულამომდინარ ალს.

– სულაც არა ვნანობ, რომ ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, შეგიყვარე, – განაგრძობდა უიკა.

– არც მე ვნანობ, – გამოეხმაურა მოგვი.

უიკას სული მისდიოდა, ისე უნდოდა ყმაწვილქალზე სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ ვერ გაებედა. გვერდით მდგომარე კაცის სიბრძნით გაბრწყინებული თვალები პატივისცემას ჩააგონებდნენ.

– რა სამწუხაროა, რომ შენი სხვა ნაწილი არა ვარ, – განაგრძობდა უიკა. – ჩინებული წყვილი ვიქნებოდით.

თუმცა მოგვს უკვე აღარ ესმოდა იმისი ლაპარაკი. წინ უნაპირო სოფელ-ქვეყანა გადაშლოდა, და საქმეც უამრავი ელოდა. ადამის შვილთ ღვთის ბაღის გაშენებასა და დამუშავებაში უნდა წააშველოს ხელი, თავიანთი თავის სწავლება უნდა ასწავლოს. სხვა ქალსაც კიდევ ბევრს შეხვდება, შეიყვარებს და ამ თავის გარდასახვა-გარდასხეულებასაც შინაარსიანად და გულსიამად გაატანს ბოლოს. წუხელ თავისი ყოფნა-არსობის რაღაც საფეხური დაასრულა, და წინ ახალი ღამის წყვდიადი უძევს. ოღონდ ახლა ბევრად უფრო ლაღად, მხიარულად იარსებებს და უფრო ახლოსაც იქნება ყოველივე იმასთან, თუკი რამეზე უოცნებია. ამ დასკვნამდე მისვლა კი აყვავილების, ტყეებისა და იმისდა მიხედვით შეეძლო, რომ ოდესმე, ღვთის ხელს ჩაჭიდებულნი, მოვლენ უცხო ასულნი, რომელთაც თვითონაც არ ეცოდინებათ, რომ მოვიდნენ და ბედისწერის განაჩენით დარჩნენ. ამის თაობაზე მთვარის ტრადიციამ და მზის ტრადიციამ აუწყეს.

**ქართულად გადმოაენა
გურამ გოგიაშვილმა.**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ახალი კანონი საქართველოს ლიდერს მეორე სუნთქვას ანიჭებს

**პარასკევს საქართველოს პარლამენტმა მოიწონა ახალი კონსტიტუცია, რომელიც, როგორც კრიტიკოსებს მიაჩნიათ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აძლევს შესაძლებლობას, თავისი უბოროტესი მტრის ვლადიმერ პუტინის მაგალითისამებრ, შეინარჩუნოს ხელისუფლება, როდესაც საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს**

საქართველოს პრეზიდენტის ხელისუფლება შეზღუდული იქნება, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებანი კი ფართოვდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პრეზიდენტს ჩამოერთმევა მთავრობის დათხოვნის უფლება, იმ დროს, როდესაც პრემიერ-მინისტრი ახლა სათავეში მოექცევა აღმასრულებელ ხელისუფლებას. მას შეუძლია დანიშნოს მინისტრები და განსაზღვროს მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკა.

მას შემდეგ, რაც ბატონი სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში 2004 წელს, მან უკვე დანიშნა ექვსი პრემიერ-მინისტრი.



ცვლილებანი მოხდება თანდათანობით და საბოლოოდ ძალაში შევა 2013 წელს, როდესაც დამთავრდება ბატონ სააკაშვილის მეორე და უკანასკნელი საპრეზიდენტო ვადა.

ზოგიერთი კანონმდებელი, რომლებმაც ახალ კონსტიტუციას დაუჭირეს მხარი 112 ხმით ხუთის წინააღმდეგ, ამბობს, რომ იგი საქართველოს გახდის უფრო დემოკრატიულს, უფრო სამართლიანად გადაანაწილებს უფლებამოსილებებს. მათ აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ეს შეწყვეტს ქუჩის პროტესტებისა და გადატრიალებათა წყებას, რის გამოც ქვეყანა იტანჯებოდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს მიიღო დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისგან.

„უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მართავდა სამი პრეზიდენტი, და ყოველი მათგანის დროს იყო პოლიტიკური მღელვარებანი, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტი – ეს სიმძიმის ცენტრია, – ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი, ბატონ სააკაშვილის ახლო მოკავშირე დავით ბაქრაძე. – ეს ცვლილებანი ნიშნავს, რომ ვერავინ – ვერც ერთი კაცი და ვერც ერთი სტრუქტურა – ამიერიდან ველარ შეძლებს მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ხალხებსა და სტრუქტურებთან შეუთანხმებლად. ეს არის გასაღები სტაბილურობისკენ“.

ბატონ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებს პარლამენტს. ქართული ოპოზიციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს და, შესაბამისად, პარასკევს კონსტიტუციისთვის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

„მიგვაჩნია, რომ ისინი რეფორმას სპეციალურად აწყობენ სასააკაშვილოდ“, – ამბობს ოპოზიციური პარტიის „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ ლიდერი ირაკლი ალასანია. ის აღნიშნავს, რომ ახალი კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საკმაოდ დიდ როლს პარლამენტისთვის. „გვაქვს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილს განზრახული აქვს გადაიქცეს პუტინად და დარჩეს პრემიერ-მინისტრის სახით“.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ბაქრაძემ, თავის მხრივ, აღნიშნა: „ჯერ ადრეა განვიხილავდეთ პრეზიდენტის გეგმებს, მაგრამ მას არასოდეს განუცხადებია, რომ 2013 წელს აპირებს გამოაცხადოს პრეტენზიები პრემიერ-მინისტრის პოსტზე“.

ახალგაზრდა და მგზნებარე ბატონმა სააკაშვილმა გადააყენა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 2003 წელს უსისხლო „ვარდების რევოლუციის“ დროს. მაშინ ათეულობით ათასი კაცი გამოვიდა ქუჩებში, რათა მხარი დაეჭირათ დემოკრატიული საქართველოს კონცეფციისთვის, რომელიც შედიოდა ევროპის კავშირში და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში.

ბატონმა შევარდნაძემ შეცვალა ზვიად გამსახურდია 1992 წელს გადატრიალების შედეგად.

როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, ბატონმა სააკაშვილმა უკვე ერთი წლის შემდეგ შეიტანა ცვლილებები კონსტიტუციაში, განამტკიცა პრეზიდენტის უფლებამოსილებანი. ის უყვარდა ჯორჯ ბუშს, რომელიც ცდილობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში დაემყარებინა პროდასავლური რეჟიმები, მაგრამ მისი მოდელი, რომელიც უნდა ყოფილიყო რეგიონისთვის დემოკრატიის ნიმუში, აღმოჩნდა კომპრომეტირებული. 2007 წელს ბატონი სააკაშვილი გააკრიტიკეს ქვეყანაში და უცხოეთშიც, როდესაც მისი უშიშროების ძალებმა დაიწყეს დემონსტრაციის დარბევა რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით. ამის შემდეგ მან მოაწყო ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნები, რომელზეც გაიმარჯვა.

საქართველოში აკრძალულია პრეზიდენტის პოსტის დაკავება ზედიზედ ორი ვადის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებზე ბატონი სააკაშვილი, ვისაც იმ მომენტისთვის შეუსრულდება უკვე 46 წელი, მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ბატონი პუტინი, რომელმაც პრეზიდენტობაში გამოიყენა ორი ვადა, 2008 წლის მაისში გახდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი და ეს პოსტი შედარებით მეორეხარისხოვანიდან გადააქცია რაღაც უფრო ბევრად მნიშვნელოვნად.

2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღდა ხანმოკლე ომი, რომლის შედეგადაც ბატონი სააკაშვილის რეპუტაციამ დამატებით განიცადა ზარალი, ვინაიდან მისმა ქვეყანამ დაკარგა კონტროლი ამბოხებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. უკანასკნელი ომის გამო 26 ათას კაცს დღემდე არ შეუძლია დაბრუნდეს თავიანთ სახლებში.

მიაჩნიათ, რომ ბატონი პუტინი და ბატონი სააკაშვილი ერთმანეთის მიმართ განიცდიან ღრმა პიროვნულ ანტიპათიას.

THE WALL STREET JOURNAL.

# საქართველოს რადიკალურმა ოპოზიციამ ნატოსგან დისტანცირება მოახდინა

**საქართველოს პრეზიდენტობის ექს-კანდიდატმა ოპოზიციონერმა ლევან გაჩეჩილაძემ ორშაბათს განაცხადა, რომ „ბრუნდება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის ლოზუნგი“**

„ან მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ საქართველოში არის დიქტატურა და დიქტატორი, ან ჩვენ დავასრულებთ ამ რეჟიმს“, – თქვა მან 22 ნოემბრისთვის ახალი ოპოზიციური ძალის – „ქართული პარტიის“ ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით.

„ჩვენ ვიბრძოლებთ დისციპლინირებულად, წარმოვადგენთ მოქმედებათა დეტალურ პროგრამას და ჩამოვაყალიბებთ ჩრდილოვან კაბინეტს“, – განაცხადა ოპოზიციონერმა. მან დაუმატა, რომ უარს აცხადებს პროტესტის პერმანენტულ აქციებზე და იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის მომხრეები გამოვლენ ქუჩებში, უმალვე მოხდება სააკაშვილის გადადგომა ხელისუფლებიდან.

ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა აგრეთვე, რომ „საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამება, რომ მას იყენებენ ანტირუსული ისტერიისთვის“.

ნატოსკენ „კურსმა საქართველო ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვამდე მიიყვანა“, – თქვა მან.

„ქართულ პარტიაში“ შევიდნენ თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, ყოფილი ელჩი რუსეთში ეროსი კიწმარიშვილი და სხვა ცნობილი პირები.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ფილიპინების ჩრდილოეთს შეუტია სუპერტაიფუნმა „მეგიმ“– ქარის სიჩქარე აღწევს 280 კილომეტრს საათში**

შეწყვეტილია ელექტრომომარაგება, ავიახაზებმა გადადეს ზოგიერთი რეისი. „მეგის“

პირველი მსხვერპლი გახდა სანაპიროზე დამხრჩვალი მეთევზე. ჯერ კიდევ გრიგალის წინ ათასობით ხალხმა დატოვა თავიანთი სახლები, დაიკეტა სკოლები, აკრძალულია ნავიგაცია, მოსახლეობამ მოიმარაგა საკვები პროდუქტები და წამლები.

* * *

**პენტაგონი წინასწარ აფასებს ახალი გახმაურებული გადინების შედეგებს**



ამჯერად გამოქვეყნდება დოკუმენტების 400 ათასი ფურცელი ერაყში ომის შესახებ, რომლებიც შეეხება საბრძოლო მოქმედებებს, ერაყის უშიშროების ძალებსა და მსხვერპლს მშვიდობიან მოსახლეობაში. ახალმა გადინებამ შეიძლება ჩრდილიც კი მიაყენოს სკანდალს, რომელიც გაჩაღდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის ივლისში გამოაქვეყნეს დაახლოებით 75 ათასი დოკუმენტი ავღანეთში ომის შესახებ.

* * *

**საუდის სპეციალურმა სამსახურებმა გააფრთხილეს საფრანგეთი ტერორისტული აქტის რეალური საფრთხის შესახებ**



როგორც საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრის ორტეფემ განაცხადა, საფრთხე მოდის „ალ-ყაიდასგან“, რომელიც მოქმედებს არაბეთის ნახევარკუნძულზე და რომელსაც მიზანში აქვს ამოღებული ევროპა და, კერძოდ, საფრანგეთი.

* * *

**ბრაზილიაში მდინარეში ჩავარდა ავტობუსი ინვალიდებით: დაიღუპა 11, დაიჭრა 30 კაცი**



სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ცდილობდა გვერდი აექცია სხვა ავტობუსთან შეჯახებისთვის ხიდზე, ვერ შეძლო თავისი სატრანსპორტო საშუალების მართვა. მგზავრები ბრუნდებოდნენ სპორტული ფესტივალიდან. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რამდენი უნარშეზღუდული ადამიანი დაიღუპა.

* * *

**აშშ-ს დემოკრატები ინარჩუნებენ კონტროლს კონგრესზე, დარწმუნებულია თეთრი სახლი. გამოკითხვა საპირისპიროს მეტყველებს**

2 ნოემბერს ამერიკელებს მოუწევთ ხელახლა აირჩიონ წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრი (435), 37 – 100 სენატორიდან და 37– შტატების 50 გუბერნატორიდან. ამჟამად დემოკრატებს აქვთ უმრავლესობა – 77 ადგილი წარმომადგენელთა პალატაში და 18 ადგილი სენატში (2 დამოუკიდებლის გათვალისწინებით).



ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ფეხბურთელთა XXII ეროვნული ჩემპიონატის II წრის სტარტი ქუთაისის „ტორპედოსა“ და „ზესტაფონის“ იმერულმა დერბიმ დაამშვენა.**

**შეგახსენებთ, რომ მასპინძლებმა მანამდე გამართული ოთხივე საშინაო მატჩი ფრედ დაასრულეს, გია გეგუჩაძის გუნდმა კი პირველი წრე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაასრულა.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა დიდი ბრძოლა გაუმართა პრინციპულ მეტოქეს და რევანშიც აიღო — 1:0 (გიგაურიძ. ვიმედოვნებთ, ეს წარმატება უმაღლეს ლიგაში წლეულს დაბრუნებულ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს სტიმულს შემატებს და მას სეზონის მიწურულს მდიდარი ტრადიციების შესაბამის სატურნირო პოზიციაზე ვიხილავთ.

**X ტურის დანარჩენი შეხვედრის შედეგები:**

„ვიტ ჯორჯია“ — „ოლიმპი“ 0:4, „ცხინვალი“ — „დინამო“ 0:0, „სიონი“ — „ბაია“ 1:3, „სამტრედია“ — „კოლხეთი“ 1:1.

„ზესტაფონი“ — 21, „ოლიმპი“ — 19, „დინამო“ — 18, „კოლხეთი“, „ბაია“ — 15-15, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“ — 13-13, „ტორპედო“ — 10, „სამტრედია“ — 8, „ცხინვალი“ — 6 ქულა.

* * *

ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ყველაზე უარეს სიზმარში: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩი აზერბაიჯანელებთან წააგო — 0:3 და ელიტ-რაუნდის მიღმა დარჩა.

არადა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვლადიმერ გუცაევის შეგირდებს სანუკვარი მიზნის მისაღწევად ერთი ქულის მოპოვებაც ჰყოფნიდათ.

იმავე დღეს დაზავდნენ მასპინძლები და ბერძნები — 1:1, რაც იმას ნიშნავს, რომ თანატოლთა კონტინენტური ფორუმის ფინალური ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას სწორედ აღნიშნული ნაკრებები გააგრძელებენ.

პორტუგალია — 5, საბერძნეთი, აზერბაიჯანი 4-4, საქართველო — 3 ქულა.

* * *

**იტალია.** „კალიარი“ — „ინტერი“ 1:2, „მილანი“ — „კიევო“ 3:1, „ბარი“ — „ლაციო“ 0:2, „იუვენტუსი“ — „ლეჩე“ 4:0, „სამპდორია“ — „ფიორენტინა“ 2:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „ვალენსია“ 2:1, „მალაგა“ — „რეალი“ 1:4, „ატლეტიკო“ — „ხეტაფე“ 2:0, „მალიორკა“ — „ესპანიოლი“ 0:1, „ხიხონი“ — „სევილია“ 2:0.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ — „ვესტბრომვიჩი“ 2:2, „არსენალი“ — „ბირმინგემი“ 2:1, „ასტონ ვილა“ — „ჩელსი“ 0:0. „ევერტონი“ — „ლივერპული“ 2:0, „ბლექპული“ — „სიტი“ 2:3.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰანოვერი“ 3:0, „კიოლნი“ — „ბორუსია“ 1:2, „შალკე- — „შტუტგარტი“ 2:2, „მაინცი“ — „ჰამბურგი“ 0:1, „ვოლფსბურგი“ — „ლევერკუზენი“ 2:3.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ — „ლილი“ 3:1, „ოსერი“ — „ბორდო“ 0:1, „მარსელი“ — „ნანსი“ 1:0, „ლანსი“ — „რენი“ 0:0, „ტულუზა“ — „პსჟ“ 0:2.

ჭადრაკი

# მოგებით დაიწყეს



**ბულგარულ პლოვდივში დაიწყო მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ქალთა 14 და ვაჟთა 49 გუნდი მონაწილეობს.** საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორისაა თბილისის „სამაია“ (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, სოფიო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილიძ, ის წლეულსაც შეჯიბრებაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით გაემგზავრა. შარშან ჩვენმა ქალებმა მესამე ადგილი დაიკავეს. წლევანდელი ტურნირი მოგებით დაიწყეს — 2,5:1,5 სძლიეს ბულგარეთის „ლოკომოტივს“. სალომე მელიამ და ბელა ხოტენაშვილმა, შესაბამისად, ივა ვიდენოვა და მარია იანევა დაამარცხეს, ლელა ჯავახიშვილმა ადრიანა ნიკოლოვასთან წააგო, ნინო ხურციძე კი დარენა სირკოვას დაუზავდა. პირველ ტურში ასევე 2-2 ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში მონაკოს „მონტე კარლომ“, სომხეთის „მიკამ“, ბულგარეთის ბასმა, რუსეთის „პეტერბურგმა“ და AVS-მ.

ვაჟებში საქართველოს გუნდი არ ჰყავს. სამაგიეროდ, ბაადურ ჯობავა უკრაინის „ჩერნიგოვის“ ღირსებას იცავს, ხოლო ქვეყნის ექსჩემპიონი თორნიკე სანიკიძე ლუქსემბურგელებს მეწინავეობს.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“



**როტერდამში ძიუდოისტთა „დიდ პრიზზე“ საქართველოს ნაკრებმა სოსო ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით თითო ოქროს და ვერცხლის მედალი მოიპოვა.** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ამირან პაპინაშვილი, რომელმაც ზედიზედ სამი მეტოქის შემდეგ ნახევარფინალში კანადელ სერჯო პესოას სძლია, ფინალში კი ევროპის ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი ლუდვი პაიშერი დაამარცხა.

90 კილოში, ასევე, წაუგებლად იჭიდავა ვარლამ ლიპარტელიანმა. ბოლო პაექრობა იაპონელ იუია იოშიდასთან ფრედ დაამთავრა. მსაჯთა გადაწყვეტილებით (ჰანტეიძ გამარჯვება იაპონელს ერგო, ვერცხლი — ლიპარტელიანს. დანარჩენი ჩვენი ძიუდოისტები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

**ლაშა დიდია**

ფარიკაობა



## მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა

**ახალგაზრდა ქართველმა მოფარიკავე მიხეილ მარდალეიშვილმა უნგრეთის ქალაქ გოდოლოში მოხმალავეთა მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე იასპარეზა.** სხვადასხვა ქვეყნის 182 სპორტსმენს შორის ჩვენებურმა მე-11 ადგილი დაიკავა. 23 ოქტომბერს მარდალეიშვილი სანდრო ბაზაძესთან, თეოდორა კახიანთან და თათია აფციაურთან ერთად ლოზნიაში (რუსეთიძ იუნიორთა ევროპის პირველობაზე მოსინჯავს ძალებს.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# მეხუთედ უმაღლეს საფეხურზე



**ხარკოვში დამთავრდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარიძ.** ფინალში ოქსანა კალაშნიკოვამ რუსი დარია კუზმინა დაამარცხა 7:5, 4:6, 6:4 და კარიერაში ერთეულთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეხუთედ ავიდა, საერთოდ კი მე-13 ტიტულს გამოჰკრა ხელი. კალაშნიკოვამ ხარკოვის ტურნირზე გამარჯვებით 50 სარეიტინგო ქულა მიითვალა და კლასიფიკაციაში 30-მდე ადგილით დაწინაურდება.

ბრალდება

# ფიფას ჩინოვნიკები დაადანაშაულეს

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფაძ დაიწყო თავისი ჩინოვნიკების საქმის გამოძიება — მათ ბრალად ედებათ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე აშშ-ს მხარდაჭერის გაყიდვა.**

ეს ბრალდება გამოთქვეს ბრიტანული გაზეთის Sunday Times ჟურნალისტებმა — ოკეანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რეინალდ ტემარისა და ფიფას აღმასკომის წევრის, ნიგერიელი ამოს ადამის მიმართ.




ორივე ჩინოვნიკი, როგორც გაზეთი წერს, დათანხმდა თავიანთი ხმების გაყიდვაზე, ტემარიმ თავისი ხმა 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა, ადამსმა კი — 500 ათას გირვანქად. ეს მოლაპარაკება ფარულად ჩაწერეს ვიდეოფირზე.

ფიფამ უკვე მოითხოვა ამ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაციები, მაშინ ფიფა დაუყოვნებლივ დაიწყებს მომხდარის შეფასებას.

ისიც ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკება შედგა იქამდე, ვიდრე გასულ პარასკევს აშშ გამოაცხადებდა თავის უარს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში მონაწილეობაზე.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებენ ინგლისი, რუსეთი, ნიდერლანდები ბელგიასთან ერთად, ესპანეთი პორტუგალიასთან ერთად.

ინტერნეტიდან

## კლიჩკომ საავადმყოფოში გააგზავნა

**როგორც ამბობენ, ვიტალი კლიჩკოსთან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შემდეგ ამერიკელი მძიმეწონოსანი შენონ ბრიგსი საავადმყოფოში არ აღმოჩნდებოდა, მის მწვრთნელებს მე-10 რაუნდში დროზე რომ ჩაეგდოთ პირსაწმენდი, „ჩვენებური“ მანდილისა არ იყოს.**



ახლა ბრიგსი ჰამბურგის უნივერსიტეტის კლინიკის ინტენსიური თერაპიის პალატაშია ორივე თვალის ორბიტის კედლების ჩატეხილობის, აგრეთვე მარცხენა ხელის კუნთებისა და სახსრების დაზიანების დიაგნოზით.

როგორც ექიმი შტეფან ბოკი აცხადებს, ის კი ორთაბრძოლას ესწრებოდა, ის ბრძოლას მეათე რაუნდში შეაჩერებდა, მაგრამ მსაჯებს ნაბრძანები ჰქონდათ, ბრძოლა არ შეეწყვიტათ, რათა ბრიგსს გამარჯვების საშუალება ჰქონოდა, რითაც, როგორც ჩანს, მას დათვური სამსახური გაუწიეს.

## ისევ პრესის ყურადღების ცენტრში

**ნუ გაგიკვირდებათ, რომ ისევ იტალიური მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა არგენტინელი მოდელი ბელენ როდრიგესი. თანაც იმავე მიზეზით, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო. ამის მიზეზი კი იტალიის ნაკრებისა და „რომას“ თავდამსხმელი მარკო ბორელოა. მათი ურთიერთობის შესახებ კი, თურმე, ყოველმა იტალიელმა იცის, იცის ისიც, თუ როგორ გაშორდნენ ისინი.**

მაგრამ ახლა ბელენი გაშორდა ფოტოგრაფ ფაბრიციო კორონას და ისევ თავისუფალია. თანაც მათი რომანი ისევე სწრაფად დასრულდა, როგორც განვითარდა.

ქალბატონი როდრიგესი კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრა კინოფილმის „შოუა სამხრეთ აფრიკაში“ გადაღებაზე. ლამაზმანი ისევ იტალიაში დაბრუნებას აპირებს, თუმცა მილანში კი არა, რომში, სადაც ახლა ბორელო თამაშობს. დასკვნები თქვენ გააკეთეთ.



## განცხადება

**შპს „ჭიათურის ხორცკომბინატის“ სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით განმეორებითი აუქციონი გაიმართება 2010 წლის 5 ნოემბერს 12 საათზე:**

**პირველი ლოტი:** აძ სასაკლაო საამქრო 99 კვ.მ აგურის ამორტიზირებული — 1000 ლარი;

ბძ ნახევარფაბრიკატების საამქრო 97 კვ.მ. აგურის, ამორტიზირებული — 1000 ლარი;

გძ მაცივრის საამქრო 350 კვ.მ. აგურის, ამორტიზირებული — 2500 ლარი;

დძ საკომპრესორო, აგურის, ამორტიზირებული 61,6 კვ.მ. — 600 ლარი;

ეძ ღობის საყრდენი რბ. ფილები — 80 ლარი.

**მეორე ლოტი:** აძ ადმინისტრაციული შენობა 202,3 კვ.მ., ორსართულიანი, ამორტიზირებული. აშენებული სამშენებლო ბლოკით, აგურით — 8000 ლარი.

**მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭიათურა-საჩხერის გზატკეცილი №41.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ტელ: 899-23-48-33.**

*გაკოტრების მმართველი პ. კიკალიშვილი*

# ტურფა პაპავა-ჭეიშვილის უკანასკნელი სურვილი

არგენტინიდან სამწუხარო ამბავი მივიღეთ.

**„დეიდა ტურფა წავიდა ჩვენგან,** — მწერს ელექტრონული ფოსტით გულნარა ჭეიშვილი, — **წყნარად, უმტკივნეულოდ წავიდა. შვილები, შვილიშვილები და ჩვენ ყველანი მასთან ვიყავით. ძალიან დაგვაკლდება და მოგვენატრება! ძნელი დღეებია“.**

ტურფა პაპავა-ჭეიშვილი ორ თვეში 96 წლისა გახდებოდა. იგი 1914 წლის 22 დეკემბერს დაიბადა საქართველოში. 9 წლისაც არ იყო, როდესაც სამშობლოს დატოვება მოუხდა დედასთან და დასთან ერთად. დედამისი — მწერალი თამარ გოგოლაშვილი-პაპავა თავის მოგონებებში ხატოვნად აღწერს თბილისიდან მათ გამგზავრებას ემიგრაციაში. იმ დროს მისი მეუღლე — თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე აკაკი პაპავა ბერლინში იყო და იქ ელოდა მათ.

*„12 მაისს 1932 წელს მატარებელი თბილისის სადგურზე უკვე ჩამომდგარი იყო, როცა მე, ჩემი ორი გოგო — ტურფა და მზია, დედაჩემი და ჩემი ორივე დები და სხვა ახლობლები ჩვენის ბარგი-ბარხანით ბაქანზე ვიდექით. ვიდექით და ათასი ფიქრები ირეოდა ჩემს თავში; დავბრუნდებოდი კვლავ, ვნახავდი მათ და ჩვენს საყვარელ მიწა-წყალს ხელახლა? როდის შევხედავ კვლავ ამ ნაცნობ სადგურს, ბაქანს, ხალხს?.. ამაზე ვფიქრობდი და სხვა უმნიშვნელო წვრილმანებზე კი ვლაპარაკობდით, ვიცინოდით და პრობლემებს ვმალავდით... სრულ ათ საათზე მატარებელში ჩავჯექით, ახლობლებს ტირილით გამოვემშვიდობეთ და უსულო მანქანაც დაიძრა... ფანჯარას არ მოვშორებივართ, ვიდრე მშობლიური მიწა და მაისის მშვენიერი ლურჯი ცა კიდევ ჩანდა... წმ. დავითის მთა დიდხანს მოგვყვებოდა ამაყად, შორს მიმავალთ. თითქოს ნუგეშის შუქით გვიფენდა გზას... გზა კი მართლაც გრძელი გვედგა და ხიფათიანი“...*



თამარისა და მისი ქალიშვილების ეს გრძელი და ხიფათიანი გზა 2010 წლის 14 ოქტომბერს დასრულდა არგენტინაში ტურფა პაპავას გარდაცვალებით. არც ერთ მათგანს სამშობლოს ხილვა აღარ ღირსებია. მაშინ კი თამარ პაპავა იმედით იყო აღსავსე, რომ მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. ასე ფიქრობდა აკაკი პაპავაც, როცა რამდენიმე კვირის შემდეგ თამარს და ბავშვებს დახვდა ბერლინის სადგურში, სადაც ისინი მოსკოვისა და რიგის გავლით ჩავიდნენ.

თამარ და აკაკი პაპავებმა ჯერ ბერლინში და მერე ჰამბურგში ქალიშვილებს მრავალმხრივი განათლება მიალებინეს. ისინი დადიოდნენ ცეკვასა და მუსიკაზე, ცურვასა და ტანვარჯიშზე, დადიოდნენ კინოსა და თეატრებში, ბევრს კითხულობდნენ, ეუფლებოდნენ ენებს, თავისუფლად ლაპარაკობდნენ ექვს-შვიდ ენაზე...

*„ამ დროს ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, რომ ბავშვებს დედა ენა არ დავიწყებოდათ,* — წერს თავის მემუარებში თამარ პაპავა, — *ეს იყო ძალიან მძიმე საქმე და ამ სიძნელეს უნდა მოვრეოდი პირადად მე, რადგან აკაკის ამისთვის დრო არ ჰქონდა... მაგრამ ერთი იყო ჩემი იმედი: ჩემი გოგოები იყვნენ დაწურული ქართული ბუნების და სისხლის და მათ ქართული სიამაყე თან ჰქონდათ დაყოლილი... ამ სიამაყეს ჩვენც ძალიან სათუთად ვუვლიდით. ჩვენი ოჯახი ხომ ქართული ოჯახი იყო, ჩვენს ოჯახში ყველაფერი ქართულად და ქართული კეთდებოდა“.*

თამარ და აკაკი პაპავების ოჯახი სხვაზე ფესვმაგარი და ტოტებძლიერი ოჯახი იყო ქართულ ემიგრაციაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი არგენტინაში დასახლდნენ. ამის მიუხედავად მუდამ ქართული ემიგრანტული ცხოვრების ცენტრში ტრიალებდნენ, ხოლო არგენტინის ქართული სათვისტომო, რომელსაც სხვადასხვა დროს ამ ოჯახის სამი წარმომადგენელი ედგა სათავეში, ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული იყო. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ ყოფილა ქართულ ემიგრაციაში მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე, რომ პაპავა-ჭეიშვილების დიდ ოჯახს მასში მონაწილეობა არ მიეღოს. ტურფა და მზია რომ გათხოვდნენ, თამარს და აკაკის ქართული საქმეების საკეთებლად მათი სიძეებიც ამოუდგნენ მხარში. ლეონიდე და ალექსანდრე ჭეიშვილები ნათესავები არ ყოფილან — ერთი იმერელი იყო, მეორე — გურული, ერთმანეთი გერმანიაში გაიცნეს.

ლეო ჭეიშვილის მამას აგურის ქარხანა ჰქონდა სამტრედიაში. იგი ჯერ ბათუმის ფრანგულ გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ ცოტა ხანს თბილისის უნივერსიტეტში ისწავლა, 1927 წელს კი მამამ გერმანიაში გაგზავნა სასწავლებლად. უკან დაბრუნება აღარ მოუხერხდა. ერთხანს თავს მხაზველობით ირჩენდა. ამასობაში მაქს პლანკის ინსტიტუტი დაამთავრა და ქიმიის დოქტორი გახდა. ლეო ჭეიშვილმა და ტურფა პაპავამ 1937 წელს იქორწინეს ბერლინში. ხუთი შვილი შეეძინათ — ნინო, ტურფა (პუსიძ, მზია, მაყვალა და დავითი. მაყვალა და დავითი უკვე არგენტინაში დაიბადნენ. მაყვალა სრულიად ახალგაზრდა, 25 წლისა გარდაიცვალა.

საშა ჭეიშვილმა სკოლა თბილისში დაამთავრა და უნივერსიტეტში სწავლობდა საინჟინრო ფაკულტეტზე. მისი საზღვარგარეთ წასვლა 1924 წლის აჯანყებას უკავშირდება. საშა ოჯახისგან უჩუმრად იარაღს ინახავდა, აჯანყებულებსაც თანაუგრძნობდა და აჯანყების დამარცხების შემდეგ მასაც დაპატიმრება ელოდა. ამიტომ საზღვარგარეთ წასვლა ამჯობინა. საფრანგეთში დასახლდა, ერთხანს გრენობლში სწავლობდა, მერე სხვადასხვა ქალაქში მუშაობდა, სხვადასხვა სამუშაოზე. 1941 წელს მზია პაპავაზე დაიწერა ჯვარი ავსტრიაში, სოფელ ფელდენის ეკლესიაში. ორი შვილი შეეძინათ: გულნარა და სალომე.

როგორც გულნარა მწერს, იმ დღეს ყველანი იქ ყოფილან, ლომას-დე-სამორაში — ტურფა პაპავა-ჭეიშვილის შვილები და დისშვილები, მისი სიძეები და შვილიშვილები...

ჩვენმა ფართო საზოგადოებამ პაპავა-ჭეიშვილების ოჯახები რეზო თაბუკაშვილის ფილმიდან გაიცნო გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა მათ საქართველოში გამოაგზავნეს მათთან დაცული უძვირფასესი რელიქვია — სიონის ტაძრის საკურთხევლის გადასაფარებელი.

ტურფა პაპავას გარდაცვალებით ქართული ემიგრაციის ერთი დიდი ეპოქა დასრულდა.

ამ 13 წლის წინათ მე საშუალება მომეცა, ჩავსულიყავი არგენტინაში და პაპავა-ჭეიშვილებს ვწვეოდი ლომას-დე-სამორაში. დღემდე ვიხსენებ მაშინდელ შეხვედრებს და უაღრესად საინტერესო საუბრებს დეიდა ტურფასთან თუ მზია დეიდასთან. მათ ჩემს თვალწინ ქართული ემიგრაციის არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელი გააცოცხლეს. დები ახლოს იცნობდნენ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი თაობის მრავალ წარმომადგენელს, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ემიგრაციაში მოღვაწე სახელოვან ქართველ მწერლებთან თუ მეცნიერებთან — მიხაკო წერეთლიდან, სამსონ ფირცხალავადან და ზურაბ ავალიშვილიდან მოყოლებული, გრიგოლ რობაქიძითა თუ ვიქტორ ნოზაძით არდამთავრებული. ემიგრაციაში ცხოვრების პირველი წლებიდანვე პაპავების ოჯახი ქართული კულტურის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კერა იყო უცხოეთში. მათი ვეება ბიბლიოთეკა კი, მრავალ იშვიათობას რომ მოიცავს, მთელ ქართულ ემიგრაციაში გახლდათ განთქმული.

*„თითქოს ჩვენს შვილებთან ერთად იზრდებოდა ჩვენი ბიბლიოთეკაც,* — წერს თავის გამოუქვეყნებელ მემუარებში თამარ პაპავა, — *იმ დროში ჩვენ ბევრ წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ვიღებდით საქართველოდანაც, როგორც ძველს, ისე ახალ გამოცემებს. ამ საქმეში ჩვენ ჩავაბით თითქმის ყველა ნათესავები, ნაცნობები, და მეგობრები. და აი, ამნაირად იზრდებოდა ჩვენი ბიბლიოთეკა, რომელითაც მარტო ჩვენ კი არ ვსარგებლობდით, არამედ ყველა ქართველი უცხოეთში, ვინც საქართველოს საკითხით მართლა დაინტერესებული იყო. ბევრი შრომა და უფრო მეტი თანხა დაგვიჯდა ჩვენ ეს ბიბლიოთეკა“.*

და აი, ამ უნიკალური ბიბლიოთეკის ერთი მცირე ნაწილი, საოჯახო არქივის ასევე მცირე ნაწილთან ერთად ტურფა და მზია პაპავა-ჭეიშვილებმა 1997 წელს საქართველოში გამომატანეს. დღეს ეს ყველაფერი თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული თამარ და აკაკი პაპავების კაბინეტში.

შარშან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თამარ და აკაკი პაპავების დღეები გავმართეთ, რომელშიც არგენტინიდან საგანგებოდ ჩამოსული მათი შვილიშვილებიც მონაწილეობდნენ. შინ დაბრუნების შემდეგ უმცროსმა ტურფა ჭეიშვილმა, იგივე პუსიმ მომწერა, როგორ გაიხარა დეიდა ტურფამ, როცა გაიგო, რა საიმედოდ და სათუთად იყო დაცული ყველაფერი ის, რაც მან და მზია დეიდამ წლების წინ საქართველოში გამომატანეს.

დროზე ჩამოვიდნენ, ეს დანარჩენიც წაიღონო, უთქვამს თურმე.

წელიწადზე მეტია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორთან ბუბა კუდავასთან ერთად ვცდილობთ, მოვიძიოთ საშუალება თამარ და აკაკი პაპავების მდიდარი არქივისა და ბიბლიოთეკის საქართველოში ჩამოსატანად, მაგრამ არაერთი დაპირების მიუხედავად, დღემდე ეს ვერაფრით მოხერხდა.

ამასობაში ტურფა დეიდა გარდაიცვალა. წავიდა და სამუდამოდ დაიკარგა ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, რაც ალბათ ჩვენთვის უნდა ეამბნა და რაც, ვფიქრობ, არანაკლები მნიშვნელობისა იქნებოდა, ვიდრე არგენტინის ქართულ არქივსა თუ ბიბლიოთეკაში დაცული ესა თუ ის დოკუმენტი ან იშვიათი წიგნი.

ტურფა პაპავა-ჭეიშვილის ბოლო სურვილი იყო, რომ მისი მშობლების ბიბლიოთეკა და არქივი თბილისში ჩამოგვეტანა და ქართული კულტურის სამსახურში ჩაგვეყენებინა.

იმედი მაქვს, გამოჩნდება პიროვნება თუ ორგანიზაცია, რომელიც ამ საშურ საქმეში საქართველოს ხელნაწერთა ცენტრის შემწეობას ინებებს.

ტურფა პაპავა-ჭეიშვილის ბოლო სურვილი ისევ სამშობლოზე ზრუნვით არის აღბეჭდილი, სამშობლოზე, რომელიც მან 8 წლისამ სამუდამოდ დატოვა და რომელზე ფიქრიც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე განუყრელად თან სდევდა.

**პაატა ნაცვლიშვილი**

## ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ...

# სიყვარულის საფლავი რუსთავში



თამუნა ღურჯია და დათო კვარაცხელია...

ამ ორი ახალგაზრდის ღვთაებრივი ჰარმონია, — სულიერი და გონებრივი სიმაღლე, მომაჯადოებელი ფიზიკური სილამაზე, შესანატრი განათლება და ოჯახიშვილობა, ცოლ-ქმრული სიყვარული ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმ უბრალო ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას, რომ:

სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება!... ოღონდ ეგ არის —ადამიანის მოდგმას დღემდე არ შეუძლია იმის განსჯა, თუ სად არის სიკვდილი ჩასაფრებული. ეს რომ ასე იყოს, სიცოცხლეს ფასი დაეკარგებოდა. ალბათ, ამიტომაც ბრძანა ვაჟა-ფშაველამ — „ღმერთმა გიშველოს სიკვდილიო, სიცოცხლე ფასობს შენითა“...

სიკვდილიც არის და სიკვდილიც, — თამუნა და დათო, მათი მესამე თანამგზავრი, თამუნას ჭარმაგი ბაბუა კოტე ღურჯია არ იყვნენ ღირსნი ასეთი მოულოდნელი, შემზარავი სიკვდილისა...

11 ოქტომბერს, დაახლოებით ღამის 10 საათზე (რუსთავიდან წალენჯიხაში თანაკლასელის დაკრძალვაზე მიმავალმა დათომ!ძ სამტრედიის ამქცევ გზაშარაზე, თავსხმა წვიმისა და „ჭრელი“ განათების გამო, კარგად ვერ შეამჩნია მოპირდაპირე მხრიდან მომავალი სატვირთო მანქანა და... თვალის დახამხამებაში ტრაგედია დატრიალდა...

არ გასულა ერთი საათი და იმავე ადგილას, კიდევ ერთი „მერსედესი“ შესკდომია ბოძს...

სამტრედიელები ამბობენ: კვირა არ გაივლის, საქართველოს მთავარი გზის ამ მონაკვეთზე ტრაგედია არ დატრიალდესო!

— თქვენ იყავით, შვილებო, ავარიის უკანასკნელი მსხვერპლი!.. ყველა ოჯახს, თითოეულ ქართველს აშოროს ასეთი ტრაგედია, — მწარედ ქვითინებს თამუნას გაოგნებული და ცრემლგამშრალი დედა მაია მიქაძე — ამ ენით გამოუთქმელი ჭირის გამო ოთარაანთ ქვრივივით გაუტეხელი ქალი, ოჯახის დედა და ბებია, რომელმაც, ყოველგვარი მეგობრული შეგონების გარეშეც, იმდენ ხანს უნდა იცოცხლოს, ვიდრე უფალი ინებებს... თუნდაც იმიტომ, რომ უდედმამოდ დარჩენილი 3 წლის ნიკა კვარაცხელიას — თამუნას და დათოს პირმშოს დედის მაგივრობა გაუწიოს...

— რას ვუძლებ, ხალხო! როგორ დამჩაგრა განგებამ, — მამა, შვილი და სიძე ერთად წამართვა, მე კი ფეხზე ვდგავარ და ამათ ქრისტიანული ადათ-წესით, ჯეროვან და ღირსეულ დასაფლავებაზე ვფიქრობ, — ცრემლად იღვრება მერაბ ღურჯია და... ნიკას გულში იხუტებს — უჩემოდ არ იძინებს. ბაბუკა, სულ ჩემთან იყავიო...

ღმერთო, რა ცოდვა-მადლი ტრიალებს ამ ერთ უბრალო, ჯანსაღ ქართულ ოჯახში!

ღმერთო, შენ გააძლებინე მაიას და მერაბს — ანგელოზივით შვილის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტის, თითქმის პროფესიონალი ექიმ-სტომატოლოგის თამუნა ღურჯიას და ვაჟკაცი სიძის, თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგ-ორთოპედის დავით კვარაცხელიას დამკარგავთ!

ღმერთო, შენ გააძლებინე წალენჯიხელ ავალი კვარაცხელიას და დარიკო შონიას — ლამაზი და ჭკვიანი შვილის და რძლის დამკარგავთ;

ღმერთო, შენ გააძლებინე ციცი ღურჯიას, გიული კვარაცხელიას — გარდაცვლილთა დედმამიშვილებს.

ღმერთო, მარადიული სასუფეველი დაუმკვიდრე კონსტანტინე ღურჯიას, შაბათს, 16 ოქტომბერს რომ უკვე დაკრძალეს ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგაში და რომელსაც უკანასკნელ გზაზე მინიმუმ 3000 ახლობელი და მეგობარი მიაცილებდა...ყველას გვეიმედება, რომ ხორგაში ღურჯიების ძირძველ ოჯახს დედურ მზრუნველობას არ მოაკლებს ქალბატონი ცისანა ქირია-ღურჯია...

კიდევ რამდენი გულდამწვარი ჭირისუფალია გასამხნევებელი... ამ ტრაგედიას ლამის მთელი საქართველო დასტირის.

* * *

დღეს რუსთავის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიიდან, სწორედ იმ ტაძრიდან, სადაც ხუთიოდე წლის წინათ თამუნამ და დათომ ჯვარი დაიწერეს, სამუდამო განსასვენებლამდე მივაცილებთ იმათ დამსხვრეულ სხეულებს.

რუსთავის სასაფლაოზე გაჩნდება კიდევ ერთი სიყვარულის საფლავი, რომელსაც თამუნას ქალური მშვენიერება, სინატიფე და ეშხი, დათო კვარაცხელიას ცისფერი თვალები და ლამაზი ღიმილი ღამითაც გაანათებს! ღამით მხოლოდ უფლის რჩეულთა საფლავები ანათებენ.

რას გაუგებთ წუთისოფლის სიმუხთლეს, შვილებო — „სცდების და სცდების სიკვდილსა, ვინც არ მოელის წამისად“...

უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების სახელით
**სპარტაკ ქობულია**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ღვაწლმოსილი მამულიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რიგი მოწვევის დეპუტატი, წლების განმავლობაში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის გაერთიანებული პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარე, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე**

**გიორგი სერაპიონის ძე ცობეხია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



---

**ელვერ კუპატაძე, რეზო ნაცარიშვილი, ბიძინა კარტოზია მწუხარებაში თანაუგრძნობენ გიორგი ხაზარაძეს დის და ბრწყინვალე ქალბატონის**

**ელენე ხაზარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## გრანელობა წალენჯიხაში

# ...და იყო ლექსის კორიანტელი

საფლავის ქვაზე აწერია – „1901“! – წელი მისი დაბადებისა! მაგრამ იმასაც ამბობენ, დაიბადაო „1900“-ში! და ეს თუ ასეა, თითქოს, ლამაზად დაემთხვა წლეულს ოთხი ათიანი, – ათი ოქტომბერი, მეათე თვე 2010-ისა და დაბადებიდან 110-ე წლისთავი!

ზეიმი იყო წალენჯიხაში, ტერენტი კვირკველიას დაბადების დღეს, ტერენტისა, რომელმაც კოსმიური ნამცეცი უწოდა თავის თავს და ბუმბერაზი პოეზია დაუტოვა თავის მშობლიურ ქვეყანას!



„ჩემი გვარი გრანელი, – პოეზიას დარჩება,
ჩემი გული და სისხლი –
ეს „MEMENTO MORI-ა!

და თითქოს დღევანდელობას ეხმიანებაო, ამოიკვნესა:

„მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს“.

და მისი ბოლო ამოსუნთქვა ისევ ისე სოფელი იყო თავისი:

მოდის საღამო, ეს დღეც ილევა,
და ირგვლივ სოფლის თეთრი სივრცეა,
აღარ ეტყობა სოფელს ცვლილება,
და წალენჯიხა ისევ ისეა.
მწვანეა ველი ახლომდებარე,
ქრიან ბავშვობის მოგონებები
და მიმაქვს ფიქრი წალენჯიხაზე.

და 10 ოქტომბერს 2010 წლისა, ტერენტი გრანელის განახლებული სახლ-მუზეუმი ლექსების კორიანტელით ხვდებოდა დიდ პოეტს და, თითქოს, თავისი ნამოსახლარის ზღურბლთან დგასო გრანელი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის სპეციალური დადგენილებით აღდგენილი გაზეთ „ტერენტი გრანელის“ რედაქტორი, პოეტი და ჟურნალისტი თამაზ ფიფია ტერენტისავე სიტყვებით ხვდებოდა სტუმრებს:

„...ახლა მინდა ამ მზეში იმედები
გახშირდეს,
(თუმცა რაა იმედი? – წამიერი
ფარ-ხმალი),
მელანდება სიკვდილი და სოფელი
მამშვიდებს,
ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი
ნამოსახლარი“.

... და მაინც აკლდა ზეიმს ლაზათი და ეშხი, – ქართველ მწერალთა „კოჰორტას“ სიცხე ჩასდგომოდათ გვერდებში და ტერენტობაზე არავინ ჩამოსულა წალენჯიხაში, გარდა ერთისა. ეს გახლდათ წალენჯიხელთა უსაყვარლესი მწერალი ბატონი ოტია იოსელიანი.

თავი დახარა ბატონი ოტიას წინაშე წალენჯიხამ, ნიშნად მადლიერებისა და თაყვანისცემისა!

და კიდევ გრანელის ძეგლის ავტორს უშანგი ძადაგიშვილს, ცნობილ ჟურნალისტებს – სპელეოლოგ ჯუმბერ ჯიშკარიანს, გეოგრაფსა და ალპინისტს ივანე ჯაფარიძეს, შესანიშნავ სპარსოლოგს, თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორს ნომადი ბართაიას და მწერალ დავით შემოქმედელს მოეფერა წალენჯიხა, ერთი სურვილითა და ერთი ოცნებით, – ღმერთმა ქნას, მომავალი წლის ოქტომბრის 10-მდე მაინც, გამოაჯანმრთელოს ჩვენი მწერლობა, რომ კვლავ ატყდეს ლექსის კორიანტელი ტერენტის ჭერქვეშ!

**ზაურ ფიფია,**
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: გრანელის ძეგლი წალენჯიხაში.

## დღის კალენდარი

19 ოქტომბერი

ხსენება ყოვლადქებული წმიდა მოციქულის თომასი.



ამოდის 06.17
ჩადის 17.14



ამოდის 15.16
ჩადის 02.39

### დაიბადნენ:

**1862 – აუგუსტ ლუმიერი,** კინოაპარატის გამომგონებელთაგან უფროსი ძმა, გარდაიცვალა 1954 წელს.

**1870 – ბორის ესაძე,** სამხედრო პოლიტიკოსი, ისტორიკოსი, მისი რედაქტორობით გამოვიდა კრებული „საქართველოს მატიანე“, გარდაიცვალა 1914 წელს.

**1886 – სარგის კაკაბაძე,** ისტორიკოსი და ფილოლოგი, გარდაიცვალა 1967 წელს.

**1888 – ვასილ კაკაბაძე,** ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1968 წელს.

**1896 – ეფრემ (გრიგოლ) სიდამონიძე,** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, გარდაიცვალა 1972 წელს.

**1899 – კონსტანტინე კაციტაძე,** ქართველი ეპიდემიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1982 წელს.

**1913 – ჯონ ლე კარე,** ინგლისელი მწერალი, მძაფრსიუჟეტიანი დეტექტიური რომანების ავტორი.

**1916 – ემილ გილელსი,** პიანისტი, პიანისტთა ვენისა და ბრიუსელის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, გარდაიცვალა 1985 წელს.

**1927 – გიგა ლორთქიფანიძე,** რეჟისორი.

**1928 – დავით მუსხელიშვილი,** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**1745 – ჯონათან სვიფტი,** ინგლისელი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1667 წელს.

**1826 – ფრანსუა ჟოზეფ ტალმა,** დიდი ფრანგი მსახიობი, დაიბადა 1763 წელს.

**1909 – ჩეზარე ლომბროზო,** იტალიელი მეცნიერი, სასამართლო ფსიქიატრი და ანთროპოლოგი, ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, დაიბადა 1835 წელს.

### მოვლენები:

**1722 წელი** – ფრანგმა ჰოფენმა დააპატენტა ცეცხლმქრობი.

**1872 წელი** – მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითნაბადი ოქროს ზოდი, რომელიც 215 კგ-ს იწონიდა, იპოვეს ახალ სამხრეთ უელსში (სამხრეთ აფრიკა).

**1879 წელი** – ტომას ედისონმა შექმნა ელექტრონათურა.

**1950 წელი** – გაეროს ძალები შევიდნენ ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანში.

**1958 წელი** – 19-22 ოქტომბერს ზეიმით აღინიშნა თბილისის დაარსების 1500 წლისთავი.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +12 – +20 |
| ქუთაისი. | +14 – +24 |
| ბათუმი. | +13 – +22 |
| ზუგდიდი. | +12 – +25 |
| თელავი. | +12 – +20 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7921 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5233 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8765 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9490 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9618 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2359 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2660 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2736 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6986 ლარი |



**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი) გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

აგარაკი ტაბახმელაში
ულტრათანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 16 93 57.

**შ ე ვ ი ძ ე ნ**

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს. 855-42-05-82.

## კადრი



## ანეკდოტები

თუ სიმართლე გინდათ, საქართველოში გამდიდრება ძალიან იოლია. მთავარია, გქონდეს ფული.

* * *

სამხედრო-საზღვაო ბაზაზე ვცხოვრობ, – წერს დაშა დაქალს. – ჩემი ქმარი მთელი ნახევარი წლით მიდის ხოლმე ზღვაში. ის მშვიდია, რომ, ღვთის წყალობით, ყველა მეზღვაური ერთბაშად არ გადის ზღვაში.



* * *

– ჩემი ცოლი ისე დამიკემსავს ხოლმე შარვალს, საერთოდ არაფერი არ ეტყობა! – თავისი მეუღლის ოსტატობით ტრაბახობს პეტკა.

– შენ ჩემი ცოლის ხელგარჯილობა უნდა ნახო – ისე გარეცხავს პერანგს, არაფერი არ ეტყობა.

* * *

– ღრმად პატივცემულო ბატონებო! წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება, რომ გამეხსნა პროქტოლოგთა მსოფლიო კონგრესი! დიდ ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ თქვენსკენ პირით ვდგავარ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.